

სააქციო საზოგადოება
„ხალიკ ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

განცხადება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგებებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების შესახებ

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ორგანიზაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. საოპერაციო გარემო.....	7
4. ახალი და შესწორებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენება.....	7
5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	9
6. კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წყაროები	20
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	22
8. ვალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში.....	22
9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები.....	22
10. ინვესტიცია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებში.....	26
11. ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება	27
12. სხვა აქტივები.....	28
13. ვალდებულებები მშობელი საწარმოს წინაშე.....	29
14. მომხმარებელთა ანაბრები	30
15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	31
16. საიჯარო ვალდებულება	32
17. სუბორდინირებული ვალი.....	32
18. ვალდებულებები.....	33
19. სააქციო კაპიტალი	34
20. წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის გაწევამდე.....	35
21. გაუფასურების ზარალი პროცენტთან და უპროცენტო აქტივებზე / სხვა ოპერაციების ანარიცხი	35
22. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი	36
23. წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე.....	36
24. საოპერაციო ხარჯები	37
25. მოგებიდან გადასახადები	38
26. პირობითი ვალდებულებები	39
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	40
28. რისკის მართვის პოლიტიკა	41
29. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	71
30. კაპიტალის ადეკვატურობა	73

განცხადება ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „ხალივ ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებით ინფორმაციას, ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის წარმოდგენა, სააღრიცხვო პოლიტიკასთან ერთად, იმგვარად, რომ ასახული იყოს რელევანტური, შესადარისი და გასაგები მონაცემები;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა იმ შემთხვევაში, როდესაც ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების სპეციფიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენის სრულფასოვან გაგებას;
- ბანკის უნარის შეფასება, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ფორმით; და
- მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს შემდეგზე:

- ბანკში ეფექტური და ჯანსაღი შიდა კონტროლების შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომელიც უზრუნველს და განმარტავს ბანკის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით იძლევა ინფორმაციას ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური ანგარიშგებების ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისობას;
- საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომია ბანკის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების ფაქტების აღკვეთა და დაფიქსირება.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2026 წლის 2 მარტს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____ *შოთა ჭყოიძე*

გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი)

_____ *კატერინე რუსიტაშვილი*

მთავარი ბუღალტერი

განცხადება ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „ხალკ ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებით ინფორმაციას, ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს შემდეგზე:



- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის წარმოდგენა, სააღრიცხვო პოლიტიკასთან ერთად, იმგვარად, რომ ასახული იყოს რელევანტური, შესადარისი და გასაგები მონაცემები;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა იმ შემთხვევაში, როდესაც ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების სპეციფიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენის სრულფასოვან გაგებას;
- ბანკის უნარის შეფასება, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამყვანება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ფორმით; და
- მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.


ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს შემდეგზე:

- ბანკში ეფექტური და ჯანსაღი შიდა კონტროლების შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომელიც უზრუნველყოფს და განმარტავს ბანკის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით იძლევა ინფორმაციას ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე უზრუნველყოფენ ბანკის ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისობა;
- საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომია ბანკის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების ფაქტების აღკვეთა და დაფიქსირება.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2026 წლის 2 მარტს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ.

დირექტორთა საბჭოს სახელით:


შოთა ჭყოიძე

ეკატერინე რუსიაშვილი
2026 წლის 2 მარტი
თბილისი, საქართველო



გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი
წარმომადგენელი)

მთავარი ბუღალტერი

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „ხალივ ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) არის სს „ხალივ ბანკი ყაზახეთის“ 100%-იანი შვილობილი საწარმო, რომელიც ქართულ ბაზარზე 2008 წლიდან ფუნქციონირებს.

ბანკს აქვს ცხრა წარმომადგენლობითი ოფისი (ფილიალი/მომსახურების ცენტრი), ასევე ბანკომატებისა და გადახდის ტერმინალების ქსელი. ცხრა ფილიალიდან სამი რეგიონებში (ბათუმი, ქუთაისი და ფოთი) მდებარეობს, ხოლო დანარჩენი ექვსი თბილისში ფუნქციონირებს. ამასთან, საბანკო მომსახურებებზე წვდომის უზრუნველსაყოფად ბანკი როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირ მომხმარებლებს ემსახურება ციფრული არხებით (ინტერნეტ ბანკი და მობაილ ბანკი).

ბანკი განაგრძობს წარმატებულ ოპერირებას ბაზრის ყველა წამყვან სეგმენტზე - საცალო, მცირე და საშუალო საწარმოები და კორპორაციული საბანკო საქმე. ბანკი კლიენტებს სთავაზობს მომსახურებათა ფართო სპექტრს - საკრედიტო პროდუქტებს, სახელფასო პროგრამებს, მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი ანაზღაურების დიდ არჩევანს, პლასტიკურ ბარათებს, დისტანციურ საბანკო სერვისებსა და დოკუმენტურ ოპერაციებს.

ბანკს მნიშვნელოვანი ინვესტიციები აქვს განხორციელებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საგადახდო სისტემების განვითარებაში, ასევე წარმატებულია ბაზარზე ინოვაციური საბანკო პროდუქტების თვალსაზრისით. ბანკს აქვს კარგად ჩამოყალიბებული საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობები, რომელთა მეშვეობით გადახდის ტრანზაქციების განხორციელება მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა შესაძლებელი. ბანკი ჩართულია SWIFT და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემებში.

ბანკი განაგრძობს თავისი ფინანსური მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესებასა და კლიენტებისთვის ახალი, ინოვაციური პროდუქტების შექმნაზე მუშაობას. კერძოდ, ბანკი ორიენტირებულია არსებული საცალო პროდუქტების განვითარებასა და გაუმჯობესებაზე და მათი გავრცელების არხების გაფართოებაზე. ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივები ასევე მოიცავს საბანკო პროდუქტების სპექტრის გამრავალფეროვნება, ფილიალების ქსელისა და დისტანციური მომსახურების არხების განვითარებას.

ბანკის სტრატეგიის წარმატებით განხორციელება მოითხოვს ამ სტრატეგიის ბანკის შიდა მართვის ქსელის მიხედვით გამართვას. ბანკი ინარჩუნებს რისკის მართვის სანდო სისტემას და შიდა კონტროლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტურ ზედამხედველობას და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ბანკის სააქციო კაპიტალი

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სააქციო კაპიტალი შედგებოდა 76,000 სრულად გადახდილი ჩვეულებრივი აქციისგან, თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1,000 ლარი, და 37,500 სრულად გადახდილი პრივილეგირებული აქციისგან, თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1,600 ლარი.

ბანკს არ აქვს გამოსყიდული აქციები ბანკის ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები აღწერილია ბანკის წესდებაში. გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ხმის უფლება შეზღუდული არ არის და თითოეულ ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმა გააჩნია.

რაც შეეხება პრივილეგირებულ აქციებს, აქციონერთა საერთო კრებაზე პრივილეგირებული აქციის მფლობელები ხმის უფლებით არ სარგებლობენ.

წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალის მოძრაობა აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

განვითარებაზე კონცენტრირებული მიდგომიდან გამომდინარე, ბანკი ძირითადად ემსახურება მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორაციულ სეგმენტებს, ხელს უწყობს გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ფინანსური პროდუქტების მიწოდებას. ამავდროულად, ბანკი აგრძელებს პოზიციის გაუმჯობესებას საცალო სეგმენტშიც, ფინანსური მომსახურებების განვითარებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვის გზით.

2025 წელს ბანკმა შთამბეჭქდავ წლიურ ზრდას მიაღწია - კორპორაციული სესხების პორტფელი გაიზარდა 51%-ით, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებისა და საცალო სეგმენტის პორტფელი - 21%-ით. მომავალში ბანკის სტრატეგიული პრიორიტეტი კვლავ მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტი იქნება, თუმცა ასევე მკაფიოდ განსაზღვრულია საცალო სეგმენტის წილის გაზრდის გეგმაც.

კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის კონსოლიდირებული ანგარიშის მიხედვით, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი აქტივების მიხედვით მე-9 ადგილს იკავებს და საქართველოს საბანკო სექტორში 1.03%-იან საბაზრო წილს ფლობს.

2025 წლის ნოემბერში „Fitch Ratings“-მა სს „ხალივ ბანკი საქართველო“, გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი (IDR) დაადასტურა „BB+“ დონეზე, ხოლო პროგნოზი 'ნეგატიურიდან' 'სტაბილური' შეცვალა, რაც ასახავს საქართველოში არსებულ სტაბილურ მაკროეკონომიკურ მდგომარეობას და ბანკის გაუმჯობესებულ შესრულების მაჩვენებლებს.

უკუგებაზე კაპიტალზე (ROE), რომელიც წარმოადგენს მომგებიანობის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს და გამოითვლება წმინდა შემოსავლის საშუალო თვიურ კაპიტალზე გაყოფით, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8.49% შეადგინა, 2024 წლის 31 დეკემბრის 8.37%-ან მონაცემთან თან შედარებით.

შესრულების სხვა ძირითადი მაჩვენებლები შემდეგია:

- სესხზე დანაკარგის კოეფიციენტი (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაყოფილი კლიენტებზე გაცემული სესხების მთლიან ოდენობაზე) - 2025 წ.: 1.71%; 2024 წ.: 2.25%;
- ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი (საოპერაციო ხარჯები გაყოფილი საპროცენტო შემოსავალსა და სხვა შემოსავლების ჯამზე, რეზერვების და სხვა აღდგენების გამოკლებით): - 2025 წ.: 51.22%; 2024 წ.: 52.86%;
- პერსონალის გადინება - 2025 წ.: 13.97%; 2024 წ.: 15.20%.

ბანკის სესხზე დანაკარგის კოეფიციენტი შეესაბამება საქართველოს საბანკო სექტორის საშუალო მაჩვენებელს. უმოქმედო სესხები (90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება) ოდნავ შემცირდა 4.74%-დან 4.55%-მდე.

სხვა მაჩვენებლები, მაგალითად ბანკის მეანაბრების რაოდენობა, 2025 წელს 33,344-მდე გაიზარდა (2024 წ.: 29,238), რაც 14%-იან ზრდას წარმოადგენს.

დასაქმებულთა რაოდენობამ 328 შეადგინა (2024 წ.: 322).

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს სრულად აქვს შესრულებული საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნები. კერძოდ, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET1) - 204,984 ათასი ლარი, მოთხოვნილი 181,423 ათასი ლარის ნაცვლად;
- პირველადი კაპიტალი (Tier1) - 264,983 ათასი ლარი, მოთხოვნილი 216,776 ათასი ლარის ნაცვლად;
- მთლიანმა საზედამხებველო კაპიტალმა შეადგინა 292,004 ათასი ლარი, მოთხოვნილი 263,589 ათასი ლარის ნაცვლად.

სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

წმინდა შემოსავალმა 22,228 ლარი შეადგინა, სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა წინა წელთან შედარებით, და 8%-იანი ზრდა უჩვენა.

მთლიანი აქტივები წლიურად 21%-ით გაიზარდა და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,108 მილიონ ლარს მიაღწია. სესხების პორტფელი 2025 წელს, 2024 წლის ბოლოსთან შედარებით, 30%-ით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო როგორც კორპორაციული, ისე საცალო პორტფელების ზრდით.

2025 წლის ბოლოს მდგომარეობით მომხმარებელთა ანაბრების საერთო მოცულობა 26%-ით გაიზარდა 2024 წლის ბოლოსთან შედარებით, რაც განპირობებული იყო როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების ანაბრების პორტფელების ზრდით.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

კორპორაციული მმართველობა და რისკის მართვა

რისკის მართვის ღონისძიებების მართვა ხორციელდება რისკის მართვის გაერთიანებული სისტემის ფარგლებში. რისკის მართვის პროცესში ყველა მმართველობითი რგოლის მონაწილეობა, კომპეტენციათა მკაფიო გამიჯვნა და სხვადასხვა პირს შორის კომუნიკაციის ეფექტურობა ხელს უწყობს ბანკის სტრატეგიული და რისკის მართვის ამოცანების ცხადად ჩამოყალიბებას, რისკის დასაშვები დონის შენარჩუნებასა და მის გონივრულად მართვას.

ბანკის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას და ანგარიშვალდებულებას, ასევე ვალდებულებების მკაფიოდ გამიჯვნას. აუდიტის კომიტეტს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა განსაზღვროს ფონი დირექტორთა საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) უმაღლეს დონეზე და გააკონტროლოს დასახულ მიზნებთან შესაბამისობა. ამასთან, საბჭო ზედამხედველობას უწევს და წარმართავს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებს.

ბანკში მოქმედებს რისკის მართვის შემდეგი მთავარი ორგანოები: სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო, რისკების კომიტეტი, აუდიტის კომიტეტი, ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის დეპარტამენტი, საოპერაციო რისკების დეპარტამენტი, ბიზნეს და საცალო საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტები, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALMC), შიდა აუდიტის დეპარტამენტი, სახაზინო დეპარტამენტი და საკრედიტო კომიტეტები:

- დირექტორთა საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ბანკის აქტივების, ვალდებულებებისა და რისკის მართვის ღონისძიებებზე, პოლიტიკებსა და პროცედურებზე. დირექტორთა საბჭო ადგენს ბანკის ძირითად ღირებულებებს, დასახავს და მიმოიხილავს ბანკის სტრატეგიის განხორციელების გზებს, რისკის მართვის ძლიერი და ეფექტური ჩარჩოსა და შიდა კონტროლების ფარგლებში. რისკის მართვის სისტემის ეფექტურად განხორციელების მიზნით დირექტორთა საბჭო რისკის მართვის ცალკეულ ფუნქციებს გადაანაწილებს ბანკის შიგნით სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღებ და აღმასრულებელ ორგანოებზე;
- საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა შეიცვალა შიდა რეორგანიზაციის ფარგლებში. საბჭოს წევრების რაოდენობა ხუთიდან ოთხამდე შემცირდა. რეორგანიზაციის შემდეგ საბჭოს ერთ-ერთი წევრი აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა. ამასთან საბჭოს ახალი წევრი დაინიშნა ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორად. დირექტორთა საბჭოს ყველა წევრის დანიშვნა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. საბჭოს თითოეული წევრის ფუნქცია და პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის განსაზღვრული ბანკის მმართველობის ჩარჩოში;
- რისკის კომიტეტი განიხილავს რისკის მართვის სტრატეგიებს, პოლიტიკებს და აკვირდება ბანკის მიერ მათ შესრულებას. იგი აუდიტის კომიტეტს აძლევს რეკომენდაციებს რისკის დასაშვებ დონესთან ყველა არსებული რისკის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობს და აკონტროლებს შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისტემებს ფინანსური ანგარიშგების პროცესთან მიმართებით. ის პასუხს აგებს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელებაზე და ეხმარება შიდა და გარე აუდიტორებს მათ საქმიანობაში.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი პასუხს აგებს ბანკის ფინანსური რისკის მართვის პროცესის ზედამხედველობასა და აქტივებისა და ვალდებულებების მართვასთან დაკავშირებული მმართველობითი ინფორმაციის მიმოხილვაზე.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის ერთ-ერთი უპირატესი მიზანია ლიკვიდობის ადეკვატური დონის უზრუნველყოფა და ბანკის საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის სპრედის მართვის პროცესის, ასევე საინვესტიციო რისკის ზომის ზედამხედველობა. ინვესტიციები ასევე მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორია.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)**კორპორაციული მმართველობა და რისკის მართვა (გაგრძელება)**

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი სულ მცირე თვეში ერთხელ იკრიბება აქტივებისა და ვალდებულებების მართვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. ზედამხედველობის ფუნქციის ფარგლებში ეს კომიტეტი ითვალისწინებს ლიკვიდობას, საპროცენტო განაკვეთის პოზიციონირებას და სხვა ფინანსური რისკის ფაქტორებს, ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, ამტკიცებს პოლიტიკის, საპროცენტო განაკვეთების, ლიმიტებისა და სხვა შესაბამისი პარამეტრების კორექტირებებს.

- რისკის მართვის სხვადასხვა სფეროში ოთხი დეპარტამენტი ფუნქციონირებს. ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის დეპარტამენტი წარმართავს ფინანსური რისკის მართვის ლონისძიებებს და პორტფელური ანალიზის აქტივობებს და აკონტროლებს მნიშვნელოვანი რისკის ტენდენციებს. ამ პროცესის მიზანია რისკის პროფილის შენარჩუნება ფინანსური რისკებისა და პორტფელის ანალიზით განსაზღვრულ დასაშვებ ფარგლებში. საოპერაციო რისკის სამართავად შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის ცალკე დეპარტამენტი. გარდა ამისა საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტები ბიზნეს (კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოები) და საცალო სეგმენტებისთვის პასუხს აგებენ საკრედიტო საქმიანობების კონტროლსა და საკრედიტო პროექტების შესახებ დასკვნების მომზადებაზე;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის რისკის მართვის, შიდა კონტროლისა და კორპორაციული მმართველობის პროცესების რეგულარულ აუდიტზე, საოპერაციო და სხვა რისკების დონეების შემცირების, ბანკის შიდა კონტროლის სისტემების აუდიტისა და ბანკის დეპარტამენტებსა და განყოფილებებში დარღვევებისა და ხარვეზების დაფიქსირების მიმართულებით. ის ამოწმებს როგორც ადეკვატურობის დონეს, ისე ბანკის პროცედურებთან შესაბამისობას. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი ხელმძღვანელობასთან განიხილავს ყველა შეფასების შედეგებს და ახდენს დასკვნებისა და რეკომენდაციების ანგარიშგებას ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი დამოუკიდებელია ბანკის დირექტორთა საბჭოსგან. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბანკის აუდიტის კომიტეტი ნიშნავს. ის ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე ანგარიშვალდებული;
- სახაზინო დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის აქტივ-პასივების, ასევე მისი საერთო ფინანსური სტრუქტურის მართვაზე. ის ასევე პასუხს აგებს ბანკის დაფინანსებისა და ლიკვიდობის რისკების მართვაზე;
- ბანკს სხვადასხვა საკრედიტო კომიტეტი აქვს (შემდგომში „საკრედიტო კომიტეტები“). თითოეული მათგანი ზედამხედველობს და მართავს ბანკის საცალო, მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორაციულ სესხებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებს. ეს კომიტეტებია: მსხვილი კრედიტების კომიტეტი, მცირე და საშუალო კრედიტის კომიტეტი და საცალო საკრედიტო კომიტეტის სამი რგოლი. კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტებში თითოეული კომიტეტი შედგება სულ მცირე ერთი დირექტორისა და საკრედიტო რისკების დეპარტამენტის ხელმძღვანელისგან ან დირექტორის - რისკების ზედამხედველისგან. საცალო სეგმენტში საკრედიტო კომიტეტების წევრობა განსხვავებულია კომიტეტის რგოლების მიხედვით. ზემოხსენებულს ამტკიცებს დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომიტეტი და/ან შიდა აუდიტის ხელმძღვანელი ბანკის შესაბამისი კომიტეტი.

ოფიციალური პოლიტიკები და პროცედურები ბანკის დონეზე შემუშავდება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის დახმარებით, რომელიც განმარტავს რისკების სისტემატიურად გამოვლენის, შეფასების, რაოდენობის განსაზღვრის, მართვისა და გაკონტროლების გზებს.

ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები) და საოპერაციო რისკი. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან დაკავშირებით ბანკის რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების აღწერა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის ეფექტურად მართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბანკისთვის, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ და კარგად მართულ სასესხო პორტფელს. ამ მიზნით, ბანკმა შეიმუშავა რისკების მართვის სტრუქტურირებული ჩარჩო, რომელსაც მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და ბიზნეს-პროცესები შესაბამისობაში მოჰყავს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკასა და შიდა სახელმძღვანელოებში განსაზღვრულ პრინციპებთან. ყველა საკრედიტო პროდუქტი ამ სტანდარტებს შეესაბამება, რითაც ძლიერდება რისკების შეფასების თანმიმდევრული მიდგომა.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკის საკრედიტო რისკის ფუნქცია ორ სპეციალიზებულ დეპარტამენტად იყოფა: საცალო საკრედიტო რისკის დეპარტამენტი, რომელიც მიმოიხილავს სამომხმარებლო სესხებს, იპოთეკებსა და საკრედიტო ბარათებს, ხოლო ბიზნეს-კრედიტების რისკის დეპარტამენტი პასუხს აგებს მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორაციულ სესხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე დეპარტამენტი აფასებს მომხმარებლებს და რისკებს, ისინი ამას განსხვავებულად აკეთებენ:

- ბიზნეს საკრედიტო რისკის დეპარტამენტი ატარებს ინდივიდუალურ შეფასებებს, ყურადღებით მიმოიხილავს თითოეული კლიენტის ფინანსურ მდგომარეობასა და რისკის პროფილს. ის ასევე აკონტროლებს საკრედიტო პორტფელს და უზრუნველყოფს საპროცედურო მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- საცალო საკრედიტო რისკის დეპარტამენტი საკრედიტო რისკის შეფასების სტანდარტიზებულ ჩარჩოს იყენებს. პროდუქტის ტიპებისა და რისკის პროფილების მიხედვით საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღება ხდება ქულების მოდელით და გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზებული პროცესებით, ან რისკების მენეჯერების მიერ განხორციელებული ინდივიდუალური შეფასებისა და ანდერატიინგის საფუძველზე.

ინდივიდუალური საკრედიტო შეფასებების გარდა, ორივე დეპარტამენტი ბანკის საერთო საკრედიტო რისკის სტრატეგიის ფორმირებაზე მუშაობს. ისინი პასუხისმგებელი არიან ბანკის რისკების პოლიტიკის განსაზღვრაზე, როგორც მარეგულირებელ, ისე შიდა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, და საკრედიტო პორტფელის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგზე. დამატებით, ისინი ახორციელებენ ძირითადი პრუდენციული კოეფიციენტების ზედამხედველობას, დაკრედიტების პრაქტიკების მისაღები რისკის დონეზე შენარჩუნების მიზნით.

საკრედიტო რისკის ძლიერი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, ბანკი შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპებს ითვალისწინებს:

- ბანკი ახორციელებს საკრედიტო პორტფელის სეგმენტაციას, რათა თითოეულ სეგმენტში უზრუნველყოფილი იყოს რისკის ერთგვაროვანი მახასიათებლები;
- საკრედიტო აქტივობები სტრუქტურირებულია კორპორაციულ, მცირე და საშუალო საწარმოებისა და საცალო საბანკო მიმართულებების მიხედვით, სადაც დაყოფა ეფუძნება საკრედიტო ლიმიტებს, მომხმარებლის ზომასა და შემოსავლის წყაროებს. სპეციალური გუნდები უზრუნველყოფენ რისკის შეფასების მეთოდების სამომხმარებლო პროფილებთან შესაბამისობას. კორპორაციულ სეგმენტში ობიექტურობის უფრო მაღალი დონის უზრუნველსაყოფად გაყიდვებისა და რისკის ანალიზის ფუნქციები გამიჯნულია;
- საკრედიტო ლიმიტები მკაცრად დგინდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის საფუძველზე;
- ყველა სასესხო განაცხადს საკრედიტო რისკის განყოფილება განიხილავს, რომელიც რეკომენდაციებს აძლევს საკრედიტო კომიტეტს სესხის შესახებ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დახმარების მიზნით.

ამ ღონისძიებებით ბანკი განაგრძობს საკუთარი რისკების მართვის მიდგომის გამლიერებას და უზრუნველყოფს სესხების გაცემის ფრთხილი პრაქტიკისა და მდგრადი ზრდის დაბალანსებულ შესაბამისობას.

ფინანსური რისკები

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა ასახავს რისკ-პროფილს, ოპერაციების მასშტაბსა და ბანკის განვითარების გეგმებს. ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი პასუხს აგებს ფინანსურ (სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, ლიკვიდობის, კონტრაჰენტისა და სხვ.) რისკებს. ფინანსური რისკის მართვის მთავარი მიზნებია ისეთი ზარალის მინიმიზება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ბაზრის სხვადასხვა პირობებში, ასევე ლიკვიდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნებისთვის შესაბამისი სახსრების არსებობის უზრუნველყოფა. რისკის მართვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია ფინანსური კონტრაჰენტის (საფინანსო დაწესებულებები) - ქვეყნები) მიერ დაწესებული ლიმიტები უცხოური ვალუტების მიხედვით მოსალოდნელ დეფიციტთან, ნულოვან ზარალთან, ლიკვიდური სახსრების დეფიციტთან და საპროცენტო განაკვეთის დეფიციტების გადაფასებასთან დაკავშირებით, რითაც განისაზღვრება ბანკისთვის მისაღები რისკის ზომა. ლიმიტების ათვისებასთან დაკავშირებული ანგარიშები წარედგინება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს. მათი დარღვევის შემთხვევაში ამოქმედდება რისკის შემცირების ღონისძიებები. გარდა ამისა, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი სულ მცირე წელიწადში ერთხელ ადგენს ფინანსური რისკების ლიმიტებს.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ფინანსური რისკები (გაგრძელება)

სახაზინო დეპარტამენტი ლიკვიდობის რისკების მოკლე ვადებში მართვის წამყვანი ორგანოა, ხოლო ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი ლიმიტებისა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს და მართავს საშუალო და გრძელვადიან ლიკვიდობის რისკებს.

საბაზრო რისკის მართვა რეგულირდება ბანკის შესაბამისი პოლიტიკით, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებს. საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკები შეესაბამება მშობელი საწარმოსა და მარეგულირებელი ორგანოს პოლიტიკას და მოთხოვნებს.

სახაზინო განყოფილება სავალუტო რისკების ადრეული ნიშნების მართვის წამყვანი დეპარტამენტია, ხოლო ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი რისკების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს და აკონტროლებს ლიმიტების ათვისების საკითხს. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ყოველთვიურად წარადგენს ანგარიშს ვალუტის პოზიციებისა და ლიმიტების საფუძველზე. მათი დარღვევის შემთხვევაში კომპანია მიმოიხილავს და ითვალისწინებს რისკის შემცირების სხვადასხვა მიდგომებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის შესაფასებლად ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი მგრძობილობის გეპის ანალიზს იყენებს. საპროცენტო გეპის ანალიზისთვის დაგეგმილ წმინდა საპროცენტო შემოსავალთან მიმართებით ლიმიტი დგინდება. ლიმიტის ათვისების შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად წარედგინება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკის მართვა ბანკის ყოველდღიური ოპერაციების შემადგენელი ნაწილია. ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი რეგულარულად აკონტროლებს საოპერაციო რისკებს მათი თავიდან აცილების, ან ისეთი ღონისძიებების გატარების მიზნით, როგორც არის მათი რეკომენდაციების საფუძველზე რისკის დონის ჰეჯირება ან შემცირება. ხსენებული ნაბიჯების საფუძველზე ხორციელდება რეგულარული შეფასება და რისკების ანალიზი იმ პროდუქტებისა და პოლიტიკებისთვის, რომლებიც იწვევენ არსებულ რეკომენდაციებში შესაძლო განახლებებსა და კორექტირებებს ან ადგენენ ახალ რეკომენდაციებსა და პოლიტიკებს.

საოპერაციო რისკების სამართავად წელიწადში ერთხელ დგინდება ბანკისთვის მისაღები ყოველწლიური ლიმიტები, წმინდა ზარალების სტრუქტურული მუხლების შესაბამისად. ამასთან, ყოველწლიურად მზადდება პერსონალის უფლებების მატრიცები დეპარტამენტებისთვის, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის უფლებების მატრიცები ფასდება და მტკიცდება ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტის მიერ. გარდა ამისა, რისკების მართვისა და პოტენციური პრობლემების ეფექტურობის განსაზღვრად გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები: საოპერაციო ზარალის მონაცემთა ბაზები, ახალი პროდუქტების/პროცესების რისკის შეფასება (ORAP), რისკის მართვის თვითშეფასება (RCSA), საქმიანობის უწყვეტობის გეგმის ტესტირება და სხვ.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები

რისკების მართვა ბანკის სტრატეგიის კრიტიკული ინსტრუმენტია. მისი ეფექტურად განსახორციელებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს არსებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გამოვლენას. ქვემოთ მოცემულია ძირითადი რისკები, რომლებმაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედონ ბანკის საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ პირობებსა და პერსპექტივებზე.

1. ბანკს აქვს მარეგულირებელი რისკი

ბანკი მკაცრად რეგულირებად გარემოში ფუნქციონირებს და ის მარეგულირებელ რისკებს ექვემდებარება. მოქმედი რეგულაციები მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობასა და სხვა პრუდენციულ კოეფიციენტებთან შესაბამისობას.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩო შეიმუშავა, რომელიც კაპიტალის მოთხოვნებს ანაწილებს პილარ 1 და პილარ 2 ბუფერებს შორის. ამასთან სებ-ს აქვს საბანკო სექტორში, ასევე ინდივიდუალურ დაწესებულებებში პრუდენციული მოთხოვნების გაზრდის უფლებამოსილება. მარეგულირებელ მოთხოვნებში ცვლილებებმა, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების ზრდამ შესაძლოა იმოქმედოს ბანკის ფინანსურ შედეგებზე და კაპიტალის მართვაზე.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)**ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები (გაგრძელება)****1. ბანკს აქვს მარეგულირებელი რისკი (გაგრძელება)***რისკის შემცირება*

ფინანსური დეპარტამენტი მარეგულირებელ კოეფიციენტებს ანგარიშობს. სეზონის მიერ დადგენილ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობა რეგულარულად კონტროლდება რისკების მართვის ორგანოების მიერ. რისკის დარღვევის კოეფიციენტების არსებობის შემთხვევაში, ტარდება რისკის შემცირების ღონისძიებები. გარდა ამისა, ბანკს ასევე შემუშავებული აქვს აღდგენის გეგმა სეზონის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ სცენარების შემუშავებას და კაპიტალის ადეკვატურობაზე მათი გავლენის შეფასებას. აღდგენის გეგმის შესაბამისად შემუშავდება დეტალური ღონისძიებები კაპიტალის დეფიციტის დასაძლევად.

ბანკის კაპიტალიზაცია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 18.32%, 23.69% და 26.10% იყო ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1), ძირითადი კაპიტალის (Tier 1) და მთლიანი საზედამხებელო კაპიტალისთვის მარეგულირებლის მიერ შესაბამისად მოთხოვნილი 16.22%, 19.38% და 23.56%-ის ფონზე. კოეფიციენტები შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნებს აღემატება.

ბანკი რეგულარულად აქვეყნებს სეზონის ბრძანებით №92/04 („კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“) მოთხოვნილ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების ანგარიშში განსაზღვრულ ინფორმაციას.

2. ბანკს აქვს კონცენტრაციისა და საკრედიტო რისკები

დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ბანკს კვლავ აქვს მნიშვნელოვანი ინდივიდუალური რისკები ერთეულ მსესხებლებზე, რომლის პოტენციური დეფოლტი გამოიწვევდა საკრედიტო დანაკარგების ზრდასა და მაღალი მოცულობის გაუფასურების ხარჯებს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათ უმსხვილეს მსესხებელთან მიმართებით რისკის ზომა მთლიანი საკრედიტო პორტფელის 19.0%-ს შეადგენს (2024 წლის 31 დეკემბერს: 18.2%). მასზე ასევე მოქმედებს კონკრეტული ეკონომიკური სექტორების ციკლურობა. ერთი მსხვილი მსესხებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან უფრო პატარა მსესხებლების დეფოლტის არსებითი კონცენტრაცია ბანკს საკრედიტო რისკის დანახარჯებსა და გაუფასურების ხარჯებს გაუზრდის. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20 უმსხვილეს მსესხებელთან მიმართებით რისკის ზომა მთლიანი საკრედიტო პორტფელის 25.3%-ს შეადგენს (2024 წლის 31 დეკემბერს: 24,5%).

რისკის შემცირება

საკრედიტო კომიტეტები მუდმივად ატარებენ კრედიტის ხარისხის მიმოხილვას ბანკის მომხმარებლების კრედიტუნარიანობის შესაძლო ცვლილებისა და პოტენციური დანაკარგების ადრეული გამოვლენის და საკრედიტო რისკის შესამცირებლად საჭირო პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

ბანკი საკრედიტო რისკებს ასევე მართავს სექტორის შესაბამისი ლიმიტების განსაზღვრის, მსესხებლის/მსესხებელთა ჯგუფის რისკის პოზიციის განსაზღვრისა და პრობლემური სესხების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მუდმივი მონიტორინგის გზით, პოტენციურ დანაკარგებზე რეაგირების მხრივ ბანკის გაძლიერების მიზნით. ბანკს ასევე აქვს საკრედიტო რეიტინგის სისტემა ბიზნეს-სესხებისთვის, რომელიც კლიენტების საკრედიტო რისკის დონეს ასახავს.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)**3. ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელია ლიკვიდობის რისკი**

ბანკის ოპერაციებს ახასიათებთ ლიკვიდობის რისკი, რომელზეც შესაძლოა მრავალმა ფაქტორმა იმოქმედოს. ეს მოიცავს კონკრეტულ დაფინანსების წყაროზე გადაჭარბებულ დამოკიდებულებას ან ასეთ დაფინანსების წყაროზე წვდომის შეუძლებლობას.

რისკის შემცირება

ლიკვიდობის რისკის შესაფასებლად ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი აფასებს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი დეფიციტებისთვის შიდა პოლიტიკით დადგენილი ლიმიტების გამოყენების დონეს და მათი დარღვევის შემთხვევაში დეპარტამენტი ატყობინებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს, ეს უკანასკნელი კი იღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდობის შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად. ლიკვიდური სახსრების დეფიციტი განისაზღვრება დროითი პერიოდების მიხედვით, ლიკვიდური სახსრების კუმულაციური დეფიციტისა და მთლიან აქტივებთან მისი თანაფარდობის გათვალისწინებით. გარდა ამისა ინერგება და კონტროლდება ლიკვიდობის სხვა ინდიკატორებიც (ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი, წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, ადრეული გაფრთხილების ინდიკატორი, ლიკვიდური აქტივების ვალდებულებებთან თანაფარდობა, სესხების აქტივებთან თანაფარდობა). ბანკმა შეიმუშავა საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა ლიკვიდობასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციის სამართავად. ეს გეგმა სხვადასხვა კრიზისულ ვითარებაში სამოქმედო გეგმას წარმოადგენს. ასევე შეიმუშავებულია აღდგენის გეგმა, რომელიც სებ-ის რეგულაციების შესაბამისად არის მომზადებული და მოიცავს ლიკვიდობასთან დაკავშირებულ სტრესული მდგომარეობის სცენარებს და აღდგენის ღონისძიებებს, ლიკვიდობით გამოწვეულ სტრესულ ვითარებებში. ბანკმა შეიმუშავა შიდა ლიკვიდობის რისკის ადეკვატურობის შესაბამისობის (ILAAP) ანგარიში, რომელშიც აღწერილია ბანკში ლიკვიდობის რისკის მართვის მთლიანი პროცესი.

2025 წლის განმავლობაში ბანკი შესაბამისობაში იყო რისკის დასაშვები დონის, მათ შორის ლიკვიდობის ლიმიტებთან. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი 98.4% (ლარი) / 139.2% (უცხოური ვალუტა) / 124.2% (სულ) იყო შესაბამისი საზედამხედველო მოთხოვნებით 75% (ლარი) / 100% (უცხოური ვალუტა) / 100% (სულ), ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 125.4% იყო, საზედამხედველო მოთხოვნის 100% ფონზე.

კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი მართავს საკუთარ კაპიტალს ისე, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად მოახდინოს დაინტერესებული მხარეებისთვის უკუგების მაქსიმალურად გაზრდა ვალისა და კაპიტალის თანაფარდობის ოპტიმიზაციის გზით. ხელმძღვანელობისა და აქციონერის განზრახვაა ბანკის შემდგომი განვითარება. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ბანკისათვის ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ დაშვების გამოყენება შესაბამისია, გამომდინარე ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის საკმარისი დონიდან და განვლილი პერიოდების პრაქტიკიდან, რომლის მიხედვითაც მოკლევადიანი ვალდებულებები, საჭიროების შემთხვევაში, ჩვეული საქმიანობის ფარგლებში რეფინანსირდება.

ბანკი ინარჩუნებს ძლიერ პოზიციას სოლიდური კაპიტალით, დაფინანსებითა და ლიკვიდობის ბუფერებით და ის აპირებს ამ პოზიციის უახლოეს მომავალშიც შენარჩუნებას.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა ფასდება სებ-ის მიერ საზედამხედველო მიზნებისთვის დადგენილი კოეფიციენტების საფუძველზე. სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა ყოველთვიურად ფასდება ბანკის ინდივიდუალური ანგარიშებით, რომლებიც სების სააღრიცხვო წესებით მზადდება.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

კაპიტალის რისკის მართვა (გაგრძელება)

სებ-ის რეგულაციების თანახმად, კომერციულმა ბანკებმა:

ა) უნდა იქონიონ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური დონე:

- 50,000 ათასი ლარი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- 50,000 ათასი ლარი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ძირითადი პირველადი კაპიტალის, ძირითადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის რისკით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობები შენარჩუნდეს დადგენილ მინიმალურ დონეებზე ან მათზე მაღალ დონეზე.

ბანკს უნდა შეენარჩუნებინა კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება ბაზელის კომიტეტის მიერ შექმნილ საბანკო ზედამხედველობის ჩარჩოს.

პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნებია:

- ძირითადი პირველადი კაპიტალი - 4.5%
- პირველადი კაპიტალი - 6%
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 8%

1. პილარ 1-ის ბუფერებია:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი;
- სისტემური რისკის ბუფერი, რომელიც ვრცელდება სისტემატიურად მნიშვნელოვან ბანკებზე;
- კონტრაციკლური კაპიტალის ბუფერი.

პილარ 1-ის ბუფერების კორექტირება ხდება სებ-ის შეხედულებისამებრ.

2. პილარ 2-ის ბუფერებია:

- სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერი, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში არა ჰქვირებული უცხოურ ვალუტაში აღებული სესხებისათვის;
- კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც დაწესდება დარგობრივი და ინდივიდუალური მსესხებლის რისკებისათვის;
- წმინდა სტრესის ბუფერი, რომელიც დაწესდება ბანკის მიერ ჩატარებული სტრესული მდგომარეობის ტესტის შედეგების მიხედვით;
- წმინდა ზოგადი რისკის შეფასების პროგრამის ბუფერი (GRAPE), რომელსაც განსაზღვრავს სებ და გამოიყენება ბანკის სპეციფიური რისკების მიხედვით;
- საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი, რომელიც 2023 წლიდან ამოქმედდა ფასს-ის ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში. საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი განხორციელდა, როგორც პილარ 2-ის მოთხოვნა და ის სრულად განისაზღვრა პირველადი კაპიტალით.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

კაპიტალის რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების მოთხოვნების შეჯამება:

კაპიტალის თანაფარდობა რისკით შეწონილ აქტივებთან	პილარ 1						პილარ 2				2025 წლის 31 დეკემბერი მთლიანი მინიმალური მოთხოვნები
	პილარ 1-ის ბუფერები			სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერი			პილარ 2-ის ბუფერები				
მოთხოვნები	კაპიტალ- ლის კონსერ- ვაციის ბუფერი	სისტემური რისკის ბუფერი	კონტრცი- კლური კაპიტალის ბუფერი	საკრედიტო რისკის ბუფერი	კონცენტ- რაციის რისკის ბუფერი	წმინდა სტრუქტურის ბუფერი	წმინდა ზოგადი რისკის ბუფერი	წმინდა შეფასების პროგრამის ბუფერი	წმინდა საკრედიტო რისკის კორექტი- რების ბუფერი		
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.50%	2.50%	0%	0.50%	2.40%	0.70%	0%	1.79%	3.82%		16.22%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი სულ	6.00%	2.50%	0%	0.50%	3.21%	0.94%	0%	2.40%	3.82%		19.38%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.00%	2.50%	0%	0.50%	4.28%	1.25%	0%	3.20%	3.82%		23.56%
კაპიტალის თანაფარდობა რისკით შეწონილ აქტივებთან	პილარ 1						პილარ 2				31 დეკემბერი 2024
მოთხოვნები	კაპიტალ- ლის კონსერ- ვაციის ბუფერი	სისტემური რისკის ბუფერი	კონტრცი- კლური კაპიტალის ბუფერი	საკრედიტო რისკის ბუფერი	კონცენტ- რაციის რისკის ბუფერი	წმინდა სტრუქტურის ბუფერი	წმინდა ზოგადი რისკის ბუფერი	წმინდა შეფასების პროგრამის ბუფერი	წმინდა ზოგადი რისკის ბუფერი		მთლიანი მინიმალური მოთხოვნები
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.50%	2.50%	0%	0.25%	2.32%	0.68%	0%	1.90%	3.71%		15.87%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი სულ	6.00%	2.50%	0%	0.25%	3.10%	0.91%	0%	2.55%	3.71%		19.03%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.00%	2.50%	0%	0.25%	4.14%	1.22%	0%	3.40%	3.71%		23.22%

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

კაპიტალის რისკის მართვა (გაგრძელება)

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბანკის ანგარიშებიდან სებ-ის სააღრიცხვო წესებს შეესაბამება, ხოლო კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩო ასე გამოიყურებოდა:

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
სააქციო კაპიტალი	76,000	76,000
გადაფასების რეზერვი	2,009	2,038
გაუნაწილებელი მოგება კაპიტალის ადეკვატურობისთვის	135,291	117,494
გამოქვითვები ძირითადი პირველადი კაპიტალიდან	(8,315)	(7,916)
ძირითადი პირველადი კაპიტალი	204,985	187,616
დამატებითი პირველადი კაპიტალი	60,000	60,000
პირველადი კაპიტალი	264,985	247,616
სუბორდინირებული ვალი	27,021	16,885
სესხების დანაკარგების ზოგადი რეზერვი (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-მდე)	-	-
სულ საზედამხედველო კაპიტალი	292,006	264,501
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,118,696	938,717
ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	18.32%	19.99%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	23.69%	26.38%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	26.10%	28.18%

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის დაანგარიშებაში, გადახდილი პრივილეგირებული აქციები გათვალისწინებულია დამატებითი პირველადი კაპიტალის სახით.

სუბორდინირებული ვალი გადახდას ექვემდებარება მხოლოდ ლიკვიდაციის სცენარის პირობებში, მას შემდეგ, რაც სრულად დაკმაყოფილდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე კრედიტორთა ვალდებულებები. ამ ტიპის ვალი ბანკის მეორადი კაპიტალის კატეგორიას განეკუთვნება და კორექტირდება შესაბამისი ამორტიზაციის თანხით. 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი სრულად აკმაყოფილებდა კაპიტალთან დაკავშირებულ ყველა გარე მოთხოვნას.

კადრების მართვა

ბანკის ხელმძღვანელობა იცავს მაღალ ეთიკურ სტანდარტებსა და ღირებულებებს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, თავის თანამშრომლებს წაახალისებს ერთმანეთის, კლიენტების, პარტნიორებისა და საზოგადოების მიმართ კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებისკენ.

2025 წლის ბოლოს მდგომარეობით ბანკში დასაქმებულ პირთა მთლიანმა რაოდენობამ 328 ადამიანი შეადგინა. შტატი მოიცავდა აღმასრულებელი რგოლის რვა უმაღლესი რანგის მენეჯერს, 36 შუა რგოლის მენეჯერს და 278 სხვა პერსონალს.

კორპორაციული კულტურით ბანკს აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მხარდამჭერ სამუშაო გარემოს განვითარებას, სადაც ყველა თანამშრომელს ექნება ზრდისა და წარმატების თანაბარი შესაძლებლობა. ბანკში დასაქმებულ ქალთა რაოდენობაა 61%, ხოლო მამაკაცების - 39%. ბანკი ხელს უწყობს მრავალფეროვნებასა და გენდერულ თანასწორობას ორგანიზაციის ყველა დონეზე. მრავალფეროვანი სამუშაო ძალა მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა კრეატიულობის, თანამშრომლობისა და ინოვაციების განვითარებას, რაც ასევე ხელს უწყობს ბანკის მდგრად განვითარებასა და საქმიანობის შედეგებს. ბანკს აქვს დასაქმებულ პირთა ჩართულობის ინიციატივები ორგანიზაციის შიგნით ეფექტური თანამშრომლობის მხარდასაჭერად.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

კადრების მართვა (გაგრძელება)

ბანკის ეთიკის კოდექსი და ქცევის კოდექსი - არეგულირებს დასაქმებულ პირთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს და განსაზღვრავს ურთიერთობის შესაბამის ნორმებსა და პრინციპებს. ბანკში დასაქმებულმა პირებმა ნებისმიერ დროს უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად და სამართლიანად და შესაბამისობაში უნდა იყვნენ ყველა კანონმდებლობის სულისკვეთებასა და განზრახვასთან. ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ სამუშაო გარემო იყოს თავისუფალი ნებისმიერი სახის შევიწროებისგან, დისკრიმინაციისგან (მათ შორის გენდერის, ასაკის, ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების ან რელიგიური კუთვნილების მხრივ) და არასათანადო ქცევისგან.

ბანკის ეთიკის კოდექსსა და ქცევის კოდექსთან შესაბამისობას კადრების დეპარტამენტი აკონტროლებს. შიდა აუდიტის დეპარტამენტი ასევე ატარებს პერიოდულ აუდიტებს ამ პოლიტიკებთან შესაბამისობის მხრივ ნებისმიერი დარღვევის ან გადაცდენის გამოვლენის მიზნით.

პერსონალის შრომის ორგანიზების სისტემა ეფუძნება საქართველოს შრომის კანონმდებლობას, კანონს კომერციული ბანკების საქმიანობების შესახებ და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა მარეგულირებელ აქტებს.

პერსონალის პოლიტიკის ძირითადი სფეროებია:

- ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება და საკადრო პოლიტიკის დაგეგმვა;
- თანამშრომელთა შერჩევა და განთავსება;
- პერსონალის გადამზადება და განვითარება;
- კომპეტენციის მართვა და თანამშრომელთა მოტივირება, სამუშაოს კონცენტრაცია;
- დასაქმებულ პირთა კორპორაციული კულტურისა და სოციალური მხარდაჭერის ფორმირება.

გამჭვირვალე და მოქნილი სტიმულების სისტემა მოქმედებს ყოველთვიური საინიციატივო პრემიების სახით, ბანკის საერთო მიზნების მიღწევის მხრივ პერსონალის ეფექტურობის ზრდის მიზნით. ამგვარი პრემია დამოკიდებულია წმინდა მოგებასთან დაკავშირებული გეგმების შესრულებაზე. საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული პრემიები მცირე და საშუალო სწარმოებისა და საცალო ბიზნესის ფრონტ ოფისის თანამშრომლებისთვის ყოველთვიურად, ხოლო ბექ ოფისის თანამშრომლებისთვის - სამ კვარტალში ერთხელ გაიცემოდა, რაც ბანკის ფინანსურ შედეგებს ეფუძნებოდა.

ბანკში დასაქმებულ პირებს ეძლეოდათ ყოველწლიური პრემია ბანკის 2024 წლის საფინანსო საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე. ამასთან, წლის ბოლოს დასაქმებულმა პირებმა მიიღეს ყაზახეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული პრემია.

ბანკის შიდა პოლიტიკის თანახმად თანამშრომლებზე გაიცემა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვზე ზრუნვის ფინანსური დახმარება.

ბანკი მხარს უჭერს თანამშრომელთა უწყვეტ ზრდასა და განვითარებას და უზრუნველყოფს მათ საჭირო ცოდნითა და უნარებით, რათა მასწავლებლურად ეფექტიანად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები. ბანკი დასაქმებულებს სთავაზობს სასწავლო პროგრამების ფართო სპექტრს, რომლებიც მიმართულია პროფესიული უნარების გაძლიერებასა და პერსონალის განვითარების მხარდაჭერაზე. სწავლების შეთავაზება ხდება სხვადასხვა არხებით, მათ შორის კორპორაციული პროგრამებით, სპეციალური კურსებით, სემინარებითა და დისტანციური სწავლების გზით, რაც მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე რესურსებს.

კორპორაციული სწავლება მოიცავს სავალდებულო სესიებს საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რომლებიც ექვს თვეში ერთხელ ტარდება ყველა თანამშრომლისთვის. ასევე წელიწადში ერთხელ ტარდება ფულის გათვრებასთან ბრძოლის (AML) ტრენინგი ფრონტ ოფისის პერსონალისა და მნიშვნელოვანი დამხმარე ფუნქციებისთვის. ფილიალის თანამშრომლები გადიან მიზნობრივ ტრენინგებს ისეთ სფეროებში, როგორცაა გაყიდვების უნარები, მომსახურების სრულყოფილება (Service+), ახალი პროდუქტები და დამატებითი ქოუჩინგი ფილიალის მენეჯერებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებელთა მომსახურებისა და მართვის უწყვეტი გაუმჯობესება.

კორპორატიული ტრენინგების ინიციატივების გარდა, ბანკი ხელს უწყობს ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებას გარე სერტიფიცირების პროგრამებისა და სპეციალიზებული კურსების დაფინანსებით. თანამშრომლებს ასევე მოუწოდებენ, ისარგებლონ დისტანციური სწავლების შესაძლებლობებით სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს სწავლებას და უნარების გაუმჯობესებას მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს ძალისხმევა უზრუნველყოფს, რომ ჩვენი სამუშაო ძალა იყოს მაღალკვალიფიციური, ადაპტირებადი და მზად იყოს ცვალებადი საბანკო გარემოს გამოწვევებთან გასამკლავებლად.

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)**კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)**

ძირითადი ღირებულებების დაცვის მიზნით ბანკი უწყვეტად იცავს თავის ვალდებულებას მხარი დაუჭიროს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ კეთილდღეობასა და მდგრად ნაციონალურ განვითარებას. ბანკის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია ეფუძნება მტკიცებას, რომ საქმიანობის წარმატება განუყოფელია იმ საზოგადოების კულტურული და სოციალური პროგრესისგან, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს.

1. ფარიკაობისა და სპორტული წარმატებების ხელშეწყობა

2025 წელს ბანკმა ამ კეთილშობილური სპორტის მხარდაჭერა თავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრა.

- ფარიკაობის მსოფლიო ჩემპიონატის სპონსორობა: როგორც ფარიკაობის მსოფლიო ჩემპიონატის ამაყი სპონსორი, ბანკი ეხმარება სპორტის განვითარებას და ხელს უწყობს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოზე მნიშვნელოვანი მასპინძლის პოზიციების გამყარებას;
- მჭიდრო ურთიერთობა სპორტსმენებთან: ფინანსური მხარდაჭერის გარდა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პირდაპირ ურთიერთობებს სპორტსმენებთან. ბანკი აქტიურად თანამშრომლობს მოფარიკავეებთან მათი საჭიროებების უკეთ გაგების, ჯანმრთელი ცხოვრების სტილის ხელშეწყობისა და ახალგაზრდა თაობების შთაგონების მიზნით.

2. ხელოვნებისა და კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა

ბანკი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის კულტურულ განვითარებაში. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ფარგლებში ბანკი მხარს უჭერს კულტურულ ინიციატივებს, მათ შორის ადგილობრივ კონცერტებსა და საჯარო ღონისძიებებს. ამგვარი ინიციატივებით ბანკი ხელს უწყობს ხელოვნების ქართული და საერთაშორისო პროექტების განვითარებას.

ინვესტიცია თანამშრომელთა განვითარებაში

- თანამშრომლები ბანკის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტად მიიჩნევიან. ბანკი მხარს უჭერს პროფესიული განვითარების ინიციატივებს და სრულად აფინანსებს დასაკმეებულ პირთა მონაწილეობას შერჩეულ საერთაშორისო ფესტივალებსა და ფორუმებში.

3. სოციალური სოლიდარობა და ინკლუზიურობა

სპორტისა და კულტურის მიმართულებით ვალდებულებების შესრულებასთან ერთად, ბანკი განაგრძობს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, კონკრეტულად მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიზანმიმართულ მხარდაჭერას. სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის გზით, ბანკი უზრუნველყოფს, რომ მისმა კონტრიბუციებმა ეფექტურად მიაღწიოს ყველაზე დიდი საჭიროების მქონე პირებამდე, რაც ხელს უწყობს სოციალურ ინკლუზიურობასა და მზრუნველობას.

ხელმძღვანელობის სახელით:

შოთა ჭყვიძლე

გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი
წარმომადგენელი)

2026 წლის 2 მარტი
თბილისი, საქართველო

მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)

ძირითადი ღირებულებების დაცვის მიზნით ბანკი უწყვეტად იცავს თავის ვალდებულებას მხარი დაუჭიროს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ კეთილდღეობასა და მდგრად ნაციონალურ განვითარებას. ბანკის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია ეფუძნება მტკიცებას, რომ საქმიანობის წარმატება განუყოფელია იმ საზოგადოების კულტურული და სოციალური პროგრესისგან, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს.

1. ფარიკაობისა და სპორტული წარმატებების ხელშეწყობა

2025 წელს ბანკმა ამ კეთილშობილური სპორტის მხარდაჭერა თავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრა.

- ფარიკაობის მსოფლიო ჩემპიონატის სპონსორობა: როგორც ფარიკაობის მსოფლიო ჩემპიონატის ამაყი სპონსორი, ბანკი ეხმარება სპორტის განვითარებას და ხელს უწყობს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე მნიშვნელოვანი მასპინძლის პოზიციების გამყარებას;
- მჭიდრო ურთიერთობა სპორტსმენებთან: ფინანსური მხარდაჭერის გარდა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პირდაპირ ურთიერთობებს სპორტსმენებთან. ბანკი აქტიურად თანამშრომლობს მოფარიკავეებთან მათი საჭიროებების უკეთ გაგების, ჯანმრთელი ცხოვრების სტილის ხელშეწყობისა და ახალგაზრდა თაობების შთაგონების მიზნით.

2. ხელოვნებისა და კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა

ბანკი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის კულტურულ განვითარებაში. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ფარგლებში ბანკი მხარს უჭერს კულტურულ ინიციატივებს, მათ შორის ადგილობრივ კონცერტებსა და საჯარო ღონისძიებებს. ამგვარი ინიციატივებით ბანკი ხელს უწყობს ხელოვნების ქართული და საერთაშორისო პროექტების განვითარებას.


ინვესტიცია თანამშრომელთა განვითარებაში

- თანამშრომლები ბანკის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევიან. ბანკი მხარს უჭერს პროფესიული განვითარების ინიციატივებს და სრულად აფინანსებს დასაქმებულ პირთა მონაწილეობას შერჩეულ საერთაშორისო ფესტივალებსა და ფორუმებში.

3. სოციალური სოლიდარობა და ინკლუზიურობა

სპორტისა და კულტურის მიმართულებით ვალდებულებების შესრულებასთან ერთად, ბანკი განაგრძობს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, კონკრეტულად მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიზანმიმართულ მხარდაჭერას. სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის გზით, ბანკი უზრუნველყოფს, რომ მისმა კონტრიბუციებმა ეფექტურად მიაღწიოს ყველაზე დიდი საჭიროების მქონე პირებამდე, რაც ხელს უწყობს სოციალურ ინკლუზიურობასა და მზრუნველობას.

ხელმძღვანელობის სახელით:



2026 წლის 2 მარტი
თბილისი, საქართველო

გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი
წარმომადგენელი)



შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ხალიკ ბანკი საქართველოს აქციონერს და სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს ხალიკ ბანკი საქართველოს (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად, რომელიც ვრცელდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე, და ასევე იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს. ჩვენ ამასთანავე შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების 29-ე შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან ბანკის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.



**Building a better
working world**

სხვა საკითხები

ბანკის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სხვა აუდიტორმა ჩაატარა, რომელმაც გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე 2025 წლის 4 მარტს.

ბანკის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ბანკის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და აუდიტის კომიტეტის საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.



**Building a better
working world**

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი



**Building a better
working world**

მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

აუდიტის კომიტეტს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2026 წლის 2 მარტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<i>(ათას ლარში)</i>	შენიშვნა	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი რეკლასიფი- ცირებული (შენიშვნა A)
აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	55,358	38,579
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	8	14,809	63,065
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		866	865
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	9	984,993	756,135
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		54	54
ინვესტიცია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებში	10	5,925	12,134
ძირითადი საშუალებები	11	19,225	16,539
არამატერიალური აქტივები		6,306	5,879
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		-	2,269
სხვა აქტივები	12	20,787	21,132
სულ აქტივები		1,108,323	916,651
ვალდებულებები:			
ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		3	4
ვალდებულებები მშობელი საწარმოს მიმართ	13	494,925	381,294
მომხმარებელთა ანაზრები	14	296,263	234,833
გამოშვებული სავალო ვასიანი ქაღალდები	15	-	5,050
საიჯარო ვალდებულება	16	3,686	2,184
ანარიცხები	21	80	154
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		569	-
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	25	334	336
სუბორდინირებული ვალი	17	27,021	28,142
სხვა ვალდებულებები	18	12,142	9,122
სულ ვალდებულებები		835,023	661,119
საკუთარი კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	19	136,000	136,000
გადაფასების რეზერვი	19	2,009	2,038
გაუნაწილებელი მოგება	19	135,291	117,494
სულ საკუთარი კაპიტალი		273,300	255,532
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,108,323	916,651

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____ შოთა ჭყვიძლე

გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი)

_____ ეკატერინე რუსიტაშვილი

მთავარი ბუღალტერი


2026 წლის 2 მარტი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)	შენიშვნა	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი რეკლასიფი- ცირებული (შენიშვნა A)
აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	55,358	38,579
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	8	14,809	63,065
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		866	865
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	9	984,993	756,135
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		54	54
ინვესტიცია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებში	10	5,925	12,134
ძირითადი საშუალებები	11	19,225	16,539
არამატერიალური აქტივები		6,306	5,879
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		-	2,269
სხვა აქტივები	12	20,787	21,132
სულ აქტივები		1,108,323	916,651
ვალდებულებები:			
ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		3	4
ვალდებულებები მშობელი საწარმოს მიმართ	13	494,925	381,294
მომხმარებელთა ანაზრები	14	296,263	234,833
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15	-	5,050
საიჯარო ვალდებულება	16	3,686	2,184
ანარიცხები	21	80	154
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		569	-
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	25	334	336
სუბორდინირებული ვალი	17	27,021	28,142
სხვა ვალდებულებები	18	12,142	9,122
სულ ვალდებულებები		835,023	661,119
საკუთარი კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	19	136,000	136,000
გადაფასების რეზერვი	19	2,009	2,038
გაუნაწილებელი მოგება	19	135,291	117,494
სულ საკუთარი კაპიტალი		273,300	255,532
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,108,323	916,651

დირექტორთა საბჭოს სახელით:


 შოთა ჭყოიძე
 კვატორინე რუსიტაშვილი
 2026 წლის 2 მარტი
 თბილისი, საქართველო

გენერალური დირექტორის მოადგილე
 (გენერალური დირექტორის უფლებამოსილი
 წარმომადგენელი)

მთავარი ბუღალტერი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)	შენიშვნა	2025	2024 რეკლასიფიცირებული (შენიშვნა B)
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	20	91,685	75,734
საპროცენტო ხარჯი	20	(40,182)	(33,618)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის გაწევამდე		51,503	42,116
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღდგენა/(ზარალი)	21	585	2,783
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		52,088	44,899
საკომისიო შემოსავალი	22	3,183	2,910
საკომისიო ხარჯი	22	(2,826)	(2,608)
მოდულიზაციით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი) მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე (ზარალი)/შემოსულობა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე		548	(965)
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე	23	(474)	2,287
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე	23	3,198	3,164
საკრედიტო ზარალის რეზერვი საპროცენტო სარგებლის არმქონე აქტივებზე		(8)	(36)
სხვა აქტივების/ვალდებულებების ანარიცხის აღდგენა/(ზარალი)		74	200
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		3,695	4,952
საოპერაციო შემოსავალი		55,783	49,851
სხვა შემოსავალი		170	728
საოპერაციო ხარჯები	24	(28,433)	(25,437)
მოგება დაბეგვრამდე		27,520	25,142
მოგების გადასახადის ხარჯი	25	(5,292)	(4,641)
წლის მოგება		22,228	20,501
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომელთა კლასიფიკაცია შემდგომში არ ხდება მოგება-ზარალში:			
შემოსულობა ქონების გადაფასებიდან	11	-	276
ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი		-	(55)
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გამოკლებით		-	221
სხვა სრული შემოსავალი		22,228	20,722

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____ შოთა ჭყოიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი)

_____ ეკატერინე რუსიტაშვილი

მთავარი ბუღალტერი

2026 წლის 2 მარტი
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)	შენიშვნა	2025	2024 რეკლასიფიცირებული (შენიშვნა B)
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	20	91,685	75,734
საპროცენტო ხარჯი	20	(40,182)	(33,618)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის გაწევამდე		51,503	42,116
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღდგენა/(ზარალი)	21	585	2,783
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		52,088	44,899
საკომისიო შემოსავალი	22	3,183	2,910
საკომისიო ხარჯი	22	(2,826)	(2,608)
მოდულირებით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი) მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე (ზარალი)/შემოსულობა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე		548	(965)
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე	23	3,198	3,164
საკრედიტო ზარალის რეზერვი საპროცენტო სარგებლის არმქონე აქტივებზე		(8)	(36)
სხვა აქტივების/ვალდებულებების ანარიცხის აღდგენა/(ზარალი)		74	200
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		3,695	4,952
საოპერაციო შემოსავალი		55,783	49,851
სხვა შემოსავალი		170	728
საოპერაციო ხარჯები	24	(28,433)	(25,437)
მოგება დაბეგვრამდე		27,520	25,142
მოგების გადასახადის ხარჯი	25	(5,292)	(4,641)
წლის მოგება		22,228	20,501
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომელთა კლასიფიკაცია შემდგომში არ ხდება მოგება-ზარალში:			
შემოსულობა ქონების გადაფასებიდან	11	-	276
ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი		-	(55)
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გამოკლებით		-	221
სხვა სრული შემოსავალი		22,228	20,722

დირექტორთა საბჭოს სახელით:


 მთავარი ბუღალტერი
 2026 წლის 2 მარტი
 თბილისი, საქართველო



გენერალური დირექტორის მოადგილე
 (გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი)

მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	ქონების გადაფასების რეზერვი	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი		136,000	1,841	97,969	235,810
პერიოდის მოგება		-	-	20,501	20,501
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გამოკლებით		-	221	-	221
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-	221	20,504	20,721
პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები	19	-	-	(1,000)	(1,000)
ადრე გადაფასებული აქტივების ცვეთის შედეგად გადაფასების რეზერვის გათავისუფლება		-	(24)	24	-
2024 წლის 31 დეკემბერი		136,000	2,038	117,494	255,532
პერიოდის მოგება		-	-	22,228	22,228
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	22,228	22,228
პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები	19	-	-	(4,460)	(4,460)
ადრე გადაფასებული აქტივების ცვეთის შედეგად გადაფასების რეზერვის გათავისუფლება		-	(29)	29	-
2025 წლის 31 დეკემბერი		136,000	2,009	135,291	273,300

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____ შოთა ჭყვიძლე

გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი
წარმომადგენელი)

_____ ეკატერინე რუსიტაშვილი

მთავარი ბუღალტერი


2026 წლის 2 მარტი
თბილისი, საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	ქონების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი		136,000	1,841	97,969	235,810
პერიოდის მოგება		-	-	20,501	20,501
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გამოკლებით		-	221	-	221
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-	221	20,504	20,721
პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები	19	-	-	(1,000)	(1,000)
ადრე გადაფასებული აქტივების ცვეთის შედეგად გადაფასების რეზერვის გათავისუფლება		-	(24)	24	-
2024 წლის 31 დეკემბერი		136,000	2,038	117,494	255,532
პერიოდის მოგება		-	-	22,228	22,228
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	22,228	22,228
პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები	19	-	-	(4,460)	(4,460)
ადრე გადაფასებული აქტივების ცვეთის შედეგად გადაფასების რეზერვის გათავისუფლება		-	(29)	29	-
2025 წლის 31 დეკემბერი		136,000	2,009	135,291	273,300

დირექტორთა საბჭოს სახელით:

 შოთა ჭყვიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი)

 კატერინე რუსიტაშვილი

მთავარი ბუღალტერი

2026 წლის 2 მარტი
თბილისი, საქართველო



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

<i>(ათას ლარში)</i>	შენიშვნა	2025	2024 რეკლასიფიცირებული <i>(შენიშვნა B)</i>
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		91,162	75,070
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(53,537)	(29,091)
რეალიზებული საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა		3,088	4,417
მიღებული საკომისიო შემოსავალი		3,144	2,881
გადახდილი საკომისიო ხარჯი		(2,826)	(2,608)
სხვა მიღებული შემოსავალი		170	704
გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(24,761)	(22,377)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		16,440	28,996
<i>(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:</i>			
სავალდებულო რეზერვები სებ-ში		47,893	963
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		(44)	13,951
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		(227,743)	(37,191)
სხვა აქტივები		1,143	(5,386)
<i>(შემცირება)/კლება საოპერაციო ვალდებულებებში:</i>			
ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		1,098	(12,331)
მომხმარებელთა ანაზრები		64,155	38,314
სხვა ვალდებულებები		737	7,517
ოპერაციებიდან ფულადი სახსრების (გასვლა)/შემოსვლა		(96,321)	34,833
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,455)	(11,909)
საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების (გასვლა)/შემოსვლა		(98,776)	22,924
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	11	(2,638)	(670)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლიდან		3	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(1,125)	(1,138)
შემოსულობა ინვესტიციების გამოსყიდვიდან ამორტიზებული			
ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებში	10	5,963	5,000
საინვესტიციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა		2,203	3,192
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
პრივილეგირებული აქციების გამოშვება	19	-	30,000
გადახდილი დივიდენდები	19	(4,460)	(1,000)
შემოსულობა მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხებიდან	13	921,132	248,119
მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხების დაფარვა	13	(782,208)	(311,742)
შემოსულობა მშობელი საწარმოს ანაზრებისგან	13	129,941	56,549
მშობელი საწარმოს ანაზრების დაფარვა	13	(143,417)	(42,515)
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	15	(5,022)	(484)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(1,248)	(1,022)
საფინანსო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა)		114,718	(22,095)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ			
ეკვივალენტებზე		(1,366)	616
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		16,779	4,637
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	38,579	33,941
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	55,358	38,579

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____ შოთა ჭყოიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე
(გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი)

_____ ეკატერინე რუსიტაშვილი

მთავარი ბუღალტერი

2026 წლის 2 მარტი
თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)	შენიშვნა	2025	2024 რეკლასიფიცირებული (შენიშვნა B)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		91,162	75,070
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(53,537)	(29,091)
რეალიზებული საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა		3,088	4,417
მიღებული საკომისიო შემოსავალი		3,144	2,881
გადახდილი საკომისიო ხარჯი		(2,826)	(2,608)
სხვა მიღებული შემოსავალი		170	704
გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(24,761)	(22,377)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		16,440	28,996
(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
სავალდებულო რეზერვები სებ-ში		47,893	963
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		(44)	13,951
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		(227,743)	(37,191)
სხვა აქტივები		1,143	(5,386)
(შემცირება)/კლება საოპერაციო ვალდებულებებში:			
ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		1,098	(12,331)
მომხმარებელთა ანაზრები		64,155	38,314
სხვა ვალდებულებები		737	7,517
ოპერაციებიდან ფულადი სახსრების (გასვლა)/შემოსვლა		(96,321)	34,833
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,455)	(11,909)
საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების (გასვლა)/შემოსვლა		(98,776)	22,924
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	11	(2,638)	(670)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლიდან		3	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(1,125)	(1,138)
შემოსულობა ინვესტიციების გამოსყიდვიდან ამორტიზებული			
ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებში	10	5,963	5,000
საინვესტიციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა		2,203	3,192
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
პრივილეგირებული აქციების გამოშვება	19	-	30,000
გადახდილი დივიდენდები	19	(4,460)	(1,000)
შემოსულობა მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხებიდან	13	921,132	248,119
მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხების დაფარვა	13	(782,208)	(311,742)
შემოსულობა მშობელი საწარმოს ანაზრებისგან	13	129,941	56,549
მშობელი საწარმოს ანაზრების დაფარვა	13	(143,417)	(42,515)
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	15	(5,022)	(484)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(1,248)	(1,022)
საფინანსო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა)		114,718	(22,095)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ			
ეკვივალენტებზე		(1,366)	616
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		16,779	4,637
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	38,579	33,941
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	55,358	38,579

დირექტორთა საბჭოს სახელით:

შოთა ჭყიტიძე
 გენერალური დირექტორის მოადგილე
 (გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი)
 მთავარი ბუღალტერი

2026 წლის 2 მარტი
 თბილისი, საქართველო



გენერალური დირექტორის მოადგილე
 (გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი)

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ორგანიზაცია

სს „ხალივ ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) არის 2008 წლის 29 იანვარს საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის №0110246 საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საბანკო ოპერაციები, ფასიანი ქაღალდებითა და უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა №74. 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს ჰქონდა 9 ფილიალი/მომსახურების პუნქტი, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებდნენ.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ ბანკის გამოშვებულ აქციებს:

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
პირველი დონის აქციონერი:		
სს „ხალივ ბანკი ყაზახეთი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“)	100%	100%
სულ	100%	100%

სს „ხალივ ბანკი ყაზახეთის“ მაკონტროლებელი აქციონერია სს „Holding ALMEX“ (62%). სს „ხალივ ბანკი ყაზახეთის“ საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ტიმურ კულიბაიევი (31%) და დინარა კულიბაიევა (31%).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დაამტკიცა დირექტორთა საბჭომ 2026 წლის 2 მარტს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორის მიერ. აქციონერებს აქვთ იურიდიული უფლება და უფლებამოსილება შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფას-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა იმ დაშვებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ბანკის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა შენობა-ნაგებობებისა (ძირითადი საშუალებების კლასი), რომლებიც აღრიცხება გადაფასების მოდელის გამოყენებით და გადაფასებული ღირებულებით, ხოლო სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით და ფინანსური აქტივები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში აღწერილი ფორმით. პირვანდელი ღირებულება ჩვეულებრივ საქონელსა და მომსახურებებში გადახდილი საფასურის სამართლიანი ღირებულებას ეფუძნება.

ბანკი თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ლიკვიდობის მიზნებისთვის წარადგენს. იმ თანხების ანალიზი, რომელთა აღდგენა ან დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის და 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მოცემულია 28-ე შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი) მოცემული და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

რეკლასიფიკაცია

შენიშვნა A

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ბანკმა განახლა საფინანსო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების წარდგენა და ცალკე წარადგინა მშობელი საწარმოს მიმართ ვალდებულების თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესადარის ინფორმაციაში განხორციელდა შემდეგი რეკლასიფიკაციები 2025 წლის წარდგენასთან შესაბამისობისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	ადრე გაცხადებული რაოდენობით	რეკლასიფიკაციის ეფექტი	რეკლასიფიცირებული ოდენობით
ვალდებულებები მშობელი საწარმოს მიმართ	–	381,294	381,294
ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ	381,298	(381,294)	4
სულ ვალდებულებები	661,119	–	661,119

ვალი მშობელი საწარმოს წინაშე მოთხოვნის/დაფარვის უპირატესი უფლებით 381,294 ათასი ლარის ოდენობით გადაკლასიფიცირდა საფინანსო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებად და ცალკე წარედგინა.

შენიშვნა B

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ბანკმა განახლა სხვა საპროცენტო შემოსავლის წარდგენის წესი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესადარის ინფორმაციაში განხორციელდა შემდეგი რეკლასიფიკაციები 2025 წლის წარდგენასთან შესაბამისობისთვის.

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ადრე გაცხადებული რაოდენობით	რეკლასიფიკაციის ეფექტი	რეკლასიფიცირებული ოდენობით	
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	72,284	3,450	75,734
სხვა საპროცენტო შემოსავალი	4,041	(4,041)	–
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	45,490	(591)	44,899
საკომისიო შემოსავალი	2,319	591	2,910
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	4,361	591	4,952
წლის მოგება	20,501	–	20,501

შემოსავლები გარანტიებიდან შეადგენს 591 ათას ლარს, რომლებიც ადრე სხვა საპროცენტო შემოსავალში იყო შესული და გადაკლასიფიცირდა საკომისიო შემოსავლად. 3,450 ათასი ლარი წარმოადგენს ჯარიმიდან შემოსავალს მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან, რომელიც გადაკლასიფიცირდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დაანგარიშებულ საპროცენტო შემოსავლად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	ადრე გაცხადებული რაოდენობით	რეკლასიფიკაციის ეფექტი	რეკლასიფიცირებული ოდენობით
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	75,649	(579)	75,070
მიღებული საკომისიო შემოსავალი	2,302	579	2,881
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	28,996	–	28,996
საოპერაციო საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების (გასვლა)/შემოსვლა	(98,776)	–	22,924

579 ათასი ლარი წარმოადგენს ფულად შემოსავალს გარანტიებიდან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**3. საოპერაციო გარემო**

ბანკი საქართველოში ფუნქციონირებს, რაც მას მგრძობიარეს ხდის ეკონომიკური და ბიზნეს ლანდშაფტის ცვლილებების, ასევე საქართველოს ფინანსურ ბაზარზე არსებული გამოწვევების მიმართ, რომლებიც განვითარებად ბაზრებს ახასიათებთ. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ვითარდება, ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს, რაც ხელს უწყობს საქართველოში ბიზნესების წინაშე მდგარი სირთულეების ზრდას. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს ბანკის ოპერაციებზე და ფინანსურ პოზიციაზე გავლენის შეფასებას, თუმცა მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს.

საქართველო განაგრძობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, რასაც აქვს საქმიანობის ძლიერი შედეგების მხარდაჭერა ისეთ მნიშვნელოვან სექტორებში, როგორც არის სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისები და საკომუნიკაციო და ფინანსური სექტორი. რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური რისკების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლები კვლავ სტაბილური რჩება, საბანკო სექტორზე პოზიტიური გავლენით. მარეგულირებელი ჩარჩო თანმიმდევრულია, ხოლო ბიზნესგარემო განაგრძობს ზრდასა და ინვესტირების შესაძლებლობების შეთავაზებას, რაც უზრუნველყოფს ხელსაყრელ საოპერაციო ლანდშაფტს ბანკისთვის.

მთლიანობაში, მიუხედავად საქართველოს წინაშე არსებული რამდენიმე გეოპოლიტიკური რისკებისა, ბანკი სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოში ფუნქციონირებს, შემცირებული ეკონომიკური ლევერიჯით, რაც დაკრედიტების ჯანსაღი ზრდის საშუალებას იძლევა.

4. ახალი და შესწორებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენება

ბანკის საქმიანობების შესაბამის შემდეგ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრით დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის, არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან ოპერაციების შედეგებზე:

- „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ - ბასს (IAS) 21-ის შესწორებები.

ბასს (IAS) 21-ის „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ შესწორებებით დაკონკრეტდა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. შესწორებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ბანკი აფასებს ახალ და შეცვლილ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ძალაში არ არიან შესული, ფინანსურ ანგარიშგებებზე მისი გავლენის განსასაზღვრად. ეს მოიცავს სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე ძალაშია შესული ახალი სტანდარტების და შესწორებების საფუძველზე, თუმცა კვლავ მიმდინარეობს მისი ადგილობრივად დამტკიცების პროცესი ან გამოიწვია ძალაში შესვლის უფრო გვიანი თარიღი.

ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**4. ახალი და შესწორებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენება (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 7-ის შესწორებები**

2024 წლის 30 მაისს ბასს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის და ფასს (IFRS) 7-ის შესწორებები

„ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები“ (შემდგომში „შესწორებები“). ეს შესწორებები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის მოთხოვნების კლასიფიკაცია;
- იმის განმარტება, რომ ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება „ანგარიშსწორების თარიღში“ და სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის დანერგვა (კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში), დაფარული ფინანსური ვალდებულებების აღიარების შესაწყვეტად, ელექტრონული საგადახდო სისტემის გამოყენებით, ანგარიშსწორების თარიღამდე;
- დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებისთვის, გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მმართველობის (ESG) და მსგავსი ფუნქციებისთვის;
- იმის განმარტება, თუ რას წარმოადგენს „რეგრესის გარეშე ფუნქციები“ და რა მახასიათებლები აქვთ ხელშეკრულების მიხედვით დაკავშირებულ ინსტრუმენტებს;
- პირობითი ფუნქციების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების განმარტებითი შენიშვნების და სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული წილობრივი ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების დამატებითი მოთხოვნების დანერგვა.

შესწორებები ძალაშია 2026 წლით დაწყებული და შემდგომი ყოველწლიური პერიოდებისთვის.

ისეთი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის შესწორებასთან დაკავშირებით, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ელექტრონული საგადახდო სისტემით, ბანკი განაგრძობს შესწორებების შეფასებას.

2024 წლის აპრილის თვეში ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“, რომელიც ჩაანაცვლებს

ბასს (IAS) 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს (IFRS) 18 ადგენს ახალ მოთხოვნებს

მოგება-ზარალის ანგარიშგების ფარგლებში წარდგენისთვის, მითითებული ჯამებისა და ქვეჯამების ჩათვლით. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა. მასში განსაზღვრულია წარდგენის სპეციფიკური მოთხოვნები და ოფციები ისეთი საწარმოებისთვის, რომლებსაც აქვთ მითითებული ძირითადი ბიზნეს-საქმიანობები (გასწავს ფინანსურ მომსახურებებს მომხმარებლებისთვის ან ახორციელებს სპეციფიკური სახის აქტივებში ინვესტირებას, ან ორივე).

სტანდარტი მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე. ამასთან, მცირემასშტაბიანი შესწორებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზღაურების და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებებიც.

ბანკმა შეაფასა ფასს (IFRS) 18-ის მოსალოდნელი ცვლილების გავლენა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ**

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ასევე არსებობს სურვილი განხორციელდეს გადახდა წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებო მითითება არსებობს ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, გარდა:

- შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის ბანკი იყენებს საკრედიტო რისკის მიხედვით კორექტირებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. საკრედიტო რისკის მიხედვით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საწყისი აღიარებისას ახდენს შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე;
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, მაგრამ შემდგომში ხდებიან გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის ბანკი იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ბანკი დაუბრუნდება საპროცენტო შემოსავლის ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ახდენს სავარაუდო მომავალი ფულადი სახსრების გადახდების ან მიღებული ფულადი სახსრების დისკონტირებას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელ ვადაზე, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას ბანკი აფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. დაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილ ან მიღებულ ყველა საფასურს და ქულას, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო დანახარჯებისა და ყველა სხვა პრემიისა თუ ფასდაკლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

საკომისიო შემოსავლის აღიარება

საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურებების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვის მიზნით თანხით, რომელიც ასახავს ამგვარ მომსახურებებში მისაღები საზღაურის ოდენობას. ბანკი გამოავლენს შესასრულებელ ვალდებულებას, მაგალითად მომხმარებელთან შეთანხმებულ მომსახურებებს, და საზღაურს და აღიარებს შემოსავალს შესასრულებელი ვალდებულების მომხმარებელთან შეთანხმებულ დაფარვის ვადასთან ერთად.

თითოეული გამოვლენილი შესასრულებელი ვალდებულებისთვის ხელშეკრულების წამოწყებისას ბანკი განსაზღვრავს დააკმაყოფილებს თუ არა ის შესასრულებელ ვალდებულებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან დროის კონკრეტულ მომენტში და საზღაური ფიქსირებულია თუ ცვალებადი. საზღაური შემდგომში გადანაწილდება იდენტიფიცირებად შესასრულებელ ვალდებულებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****საკომისიო შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)**

ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობის საფასური გადავადებულია, დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და აღიარდება შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილის სახით.

თუ სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულება წარმოქმნის კონკრეტულ საკრედიტო გარიგებას, სასესხო ვალდებულებების საკომისიო გადავადდება, დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც შედეგად წარმოქმნილი სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. როდესაც სავარაუდო არ არის, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტულ საკრედიტო გარიგებას, სასესხო ვალდებულებების საკომისიო აღიარდება მოგებაში ან ზარალში სასესხო ვალდებულებების დარჩენილ პერიოდზე. ისეთი სასესხო ვალდებულების ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც არ გამოიწვევს სესხს, სასესხო ვალდებულებების საკომისიო აღიარდება მოგებაში ან ზარალში ვადის გასვლისას. სესხის მომსახურების საკომისიო აღიარდება ამონაგების სახით, მომსახურების გაწევისას.

პლასტიკური ბარათებით ოპერაციების საკომისიო შემოსავალი მოიცავს სხვა ბანკების საკრედიტო და სადებეტო ბარათებით ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავალს და აღიარდება დროის იმ მომენტში, როცა შესაბამისი ქსელი განახორციელებს ანგარიშსწორებას.

ბარათებთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები აღიარდება ოპერაციის დასრულებისას.

ყველა სხვა საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტრანზაქციული საბანკო საქმიანობის საფასურებს, მაგალითად საბანკო გადარიცხვების ან სხვა ტრანზაქციულ მომსახურებებს, აღიარდება დაკავშირებული მომსახურების გაწევის თარიღში, ე.ი. დროის გარკვეულ მომენტში.

ბანკმა ზოგადად დაასკვნა, რომ ის მარწმუნებლის სახით მოქმედებს ამონაგების მომტან გარიგებებში, რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება**

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ბანკი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

აღიარებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), საწყისი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებას.

საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან, სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება საწყისი აღიარებისას არსებული სამართლიანი ღირებულებისგან, ბანკი ამგვარ სხვაობებს შემდეგი სახით აღრიცხავს:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც იყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ სხვაობა საწყისი აღიარებისას აღრიცხება მოგებაში ან ზარალში (ე.ი. 1-ლი დღის მოგება-ზარალი);
- ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება კორექტირდება გარიგების ფასის შესაბამისად (ე.ი. 1-ლი დღის მოგება-ზარალი გადავადდება მისი აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეტანის გზით).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

საწყისი აღიარების შემდეგ გადავადებული თანხები მოგებაში ან ზარალში აღიარდება ფაქტორის (მათ შორის დროის) ცვლილებისას, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას. ამ საფუძველზე ბანკმა შეაფასა, რომ შესაფერისია გადავადებული თანხის წრფივი მეთოდით ამორტიზება. ნებისმიერი დაუფარავი თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება ინსტრუმენტის აღიარების შეწყვეტა ან როდესაც ამოსავალი მონაცემ(ებ)ი ემპირიული გახდება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსების და მომხმარებლების მიმართ ვალდებულებების ნაშთების გამოვლენით, თავდაპირველად აღიარდება გარიგების თარიღში, ე.ი. იმ დღეს, როდესაც ბანკი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე. ეს მოიცავს რეგულარულ სავაჭრო ოპერაციებს, ე.ი. ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვას, რომელიც საჭიროებს აქტივების მიწოდებას ისეთ ვადებში, რომლებიც ჩვეულებრივ განისაზღვრება ბაზარზე მოქმედი დადგენილებით ან შეთანხმებით. მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სახსრები მომხმარებლის ანგარიშზე გადაირიცხება. ბანკი აღიარებს მომხმარებლების მიმართ ვალდებულებების ნაშთებს, როდესაც სახსრები ბანკში გადაირიცხება.

ფინანსური აქტივები**კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივი ფასდება ერთ-ერთი შემდეგი შეფასების კატეგორიის მიხედვით: ამორტიზებული ღირებულება, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI); ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ განეკუთვნება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახულის კატეგორიას:

- აქტივის ფლობა ბიზნეს-მოდელებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (SPPI).

სავალო ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს და არ განეკუთვნება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის კატეგორიას:

- აქტივის ფლობა ბიზნეს მოდელებში, რომლის მიზანიც მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ცალსახად წარმოადგენს ძირითადი თანხის და ამ უკანასკნელზე დაუფარავი პროცენტის გადახდას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ბანკის შეფასების კატეგორიების მიხედვით კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

ფინანსური აქტივები	ბიზნესმოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა (SPPI)	შეფასების კატეგორია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	სხვა ბიზნესმოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (რეციკლირების გარეშე)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა მოთხოვნები	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი ახდენს იმ ბიზნესმოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. ეს ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელისთვის განსაზღვრული პოლიტიკა და მიზნები და ამ პოლიტიკის პრაქტიკაში გამოყენება. ეს მოიცავს შემდეგს: ორიენტირებულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის შესაბამისობაში მოყვანაზე ნებისმიერი დაკავშირებული ვალდებულების ან ფულადი სახსრების მოსალოდნელი გასვლების ხანგრძლივობასთან, თუ ფულადი ნაკადების რეალიზაციაზე აქტივების გაყიდვით;
- როგორ ფასდება საქმიანობის შედეგების პორტფელი და ანგარიში წარედგინება ბანკის ხელმძღვანელობას;
- რისკები, რომლების მოქმედებენ ბიზნეს-მოდელის შესრულების მაჩვენებლებზე (და ბიზნეს მოდელში ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების ანაზღაურება - მაგ. კომპენსაცია ეფუძნება თუ არა მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- წინა პერიოდებში ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალ გაყიდვასთან დაკავშირებული მოლოდინები.

შეფასება იმისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს

ამ შეფასების მიზნებისთვის, ძირი თანხა განისაზღვრება, როგორც საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც საზღაური ფულის დროითი ღირებულებისთვის და დროის კონკრეტული პერიოდისთვის დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი და სხვა ძირითადი საკრედიტო რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდობის რისკი და ადმინისტრაციული დანახარჯები), ასევე როგორც მოგების მარჟა.

იმის შესაფასებლად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა, ბანკი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვადებს. ეს მოიცავს იმის შეფასებას, შეიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დრო ან ოდენობა ისე, რომ ის არ დააკმაყოფილებს ამ პირობას. ამ შეფასების გაკეთებისას, ბანკის ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი მოვლენები, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების ოდენობას ან ვადებს;
- პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონის განაკვეთი, მათ შორის ცვლადი განაკვეთის მახასიათებლები;
- გადახდილი ავანსები და ხელშეკრულების გახანგრძლივების პირობები; და
- პირობები, რომლებიც ზღუდავს ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (მაგ., რეგრესის უფლების არმქონე სესხის პირობები).

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ბანკნოტებსა და მონეტებს, საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) ფლობილ შეუზღუდავ ნაშთებს და მაღალლიკვიდურ ფინანსურ აქტივებს საწყისი აღიარების თარიღიდან სამთვიანი ან უფრო ნაკლები ვადით, რომლებიც სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის საგანს წარმოადგენენ და რომლებსაც ბანკი იყენებს მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)*****სავალდებულო რეზერვები სებ-ში***

სავალდებულო რეზერვები სებ-ში ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო ანაზრებს, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის ბანკი ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად. შესაბამისად ისინი არ არის ჩათვლილი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში.

მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ წარმოადგენს კონტრაქტ ბანკებში განთავსებულ სახსრებს, სამ თვეზე მეტი საწყისი დაფარვის ვადებით.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც ემატება ზღვრული საოპერაციო დანახარჯები და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში მოიცავს ინვესტიციებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ სადეპოზიტო სერტიფიკატში. ისინი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც ემატება ზღვრული პირდაპირი საოპერაციო დანახარჯები და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

ბანკმა გადაწყვიტა ასახოს წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომლებიც არ არის სავაჭროდ გამიზნული სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანის გაკეთება ხდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე, საწყისი აღიარებისას და ის შეუქცევადია.

შემოსულობა და ზარალი ამგვარ წილობრივ ინსტრუმენტებზე არასოდეს რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში და გაუფასურება არ აღიარდება მოგება-ზარალში.

ასეთ ინსტრუმენტებზე დივიდენდები აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი მკაფიოდ წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულების ნაწილის ანაზღაურებას; ამ შემთხვევაში მათი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსავლები და ზარალი გადადის ინვესტიციებზე გასვლისას გაუნაწილებელ მოგებაზე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგება-ზარალი სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებში შესული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები უცხოური ვალუტის ფორვარდულ ხელშეკრულებებს მოიცავს.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება იმ თარიღში, როდესაც წარმოებული ხელშეკრულებები შედის ძალაში და შემდგომ გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აისახება, როგორც ფინანსური აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია.

ცვლილება წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)****გაუფასურება**

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებთან ერთად. ამ თავში ყველა მათგანი ფინანსურ ინსტრუმენტებად მოიხსენიება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

27-ე შენიშვნაში მოცემულია ბანკის პოლიტიკა კოლექტიურ საფუძველზე შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფებისთვის.

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 სტადიებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად (POCI), როგორც აღწერილია ქვემოთ:

1-ლი სტადია	სესხების პირველი აღიარებისას ბანკი აღიარებს რეზერვს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. 1-ლი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მე-2 სტადიიდან.
მე-2 სტადია	როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბანკი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მე-2 სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მე-3 სტადიიდან.
მე-3 სტადია	გაუფასურებულად მიჩნეული სესხები (27-ე შენიშვნის შესაბამისად). ბანკი აღრიცხავს რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.
POCI	შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია საწყისი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდგომში ხდება საკრედიტო რისკის მიხედვით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ან გაუქმება ხდება მხოლოდ იმ მოცულობით, რამდენადაც შემდგომში ადგილი აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მნიშვნელოვანი ელემენტებია დეფოლტის ალბათობა (PD), ფინანსური ინსტრუმენტის მოცულობა დეფოლტის დადგომისას (EAD) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), რომლებიც 28-ე შენიშვნაშია განმარტებული. დეფოლტის ალბათობა მრავლდება საპროცენტო EAD-ზე და შემდეგ მრავლდება დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე და დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ბანკი იყენებს ისეთ შერჩეულ საპროცენტო მაკროეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს, როგორც არის ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსი და უძრავი ქონების ფასები. დეტალური ინფორმაცია ამ ამოსავალ მონაცემებსა და მგრძობელობის ანალიზის შესახებ განხილულია 28-ე შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა**

ბანკს შეუძლია განახორციელოს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების რესტრუქტურულიზაცია, როდესაც მსესხებლები აღმოჩნდებიან ფინანსურ სირთულეში, თანხის ამოღების მაჩვენებლის მაქსიმალურად გაზრდისა და დეფოლტის რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით. სესხის პირობების ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ყველა გონივრულ მცდელობას განახორციელებს საწყისი სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე გადახდის შესასრულებლად, არსებობს დეფოლტის წარმოშობის მაღალი რისკი ან დეფოლტი უკვე წარმოიშვა და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შესძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას. უმეტეს შემთხვევაში შეცვლილი პირობები მოიცავს სესხის ვადის გახანგრძლივებას, სესხის ფულადი ნაკადების (ძირი თანხის და პროცენტის დაფარვა) ვადების ცვლას, ვადადამდგარი ფულადი ნაკადების თანხის (ძირი თანხის და პროცენტის პატიება) შემცირება და სხვა პირობების ცვლილება.

სახელშეკრულებო პირობების ამგვარი მოდიფიცირება იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც ის წარმოშობს არსებითად განსხვავებულ პირობებს. იმის განსასაზღვრად, მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობებისგან, ბანკი ითვალისწინებს შემდეგს:

- ისეთ ხარისხობრივ ფაქტორებს, როგორც არის მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვის შედეგები, ვალუტის ან კონტრაპენტის ცვლილება, საპროცენტო განაკვეთების, დაფარვის ვადებისა და კრედიტორის პირობების ცვლილების მასშტაბები. თუ ეს გარკვევით არ განსაზღვრავს არსებით მოდიფიცირებას, მაშინ;
- რაოდენობრივი შეფასება ტარდება საწყისი პირობებით დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეცვლილი პირობებით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან შედარების მიზნით, ორივე თანხის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებით. თუ დღევანდელ ღირებულებაში სხვაობა 10%-ს აღემატება, ბანკი მიიჩნევს, რომ გარიგება არსებითად განსხვავებულია, რაც იწვევს აღიარების შეწყვეტას.

როდესაც მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას იწვევს, ბანკი ახალ ფინანსურ აქტივს სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შედეგად მიღებულ ნებისმიერ შემოსულობას ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს. ახალი აქტივი ჩვეულებრივ 1-ელ სტადიად კლასიფიცირდება და განეკუთვნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, მანამდე, სანამ ის მიჩნეული არ იქნება გაუფასურებულად საწყისი აღიარებისას. მოდიფიცირებული სესხი მიიჩნევა წარმოშობისას გაუფასურებულად, როდესაც ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულება გადასინჯულ სახელშეკრულებო თანხასთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლები ოდენობით აღიარდება, დეფოლტის მაღალი რისკის გამო. ბანკი მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს აკონტროლებს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის შეფასების გზით, როგორც არის მაგალითად ახალ პირობებში მსესხებლის ვადაგადაცილების სტატუსი.

როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი აფასებს ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ.

ბანკის რესტრუქტურულიზაციის პოლიტიკის ფარგლებში მოდიფიცირებული სესხებისთვის, დეფოლტის ალბათობის შეფასება ასახავს ბანკის მიერ მსესხებლის უნარის შეფასებას, დააკმაყოფილოს გადასინჯული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, მსგავსი რესტრუქტურულიზაციის განვლილი გამოცდილებისა და ისეთი ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, როგორც არის გადახდების ისტორია შეცვლილ პირობებში.

ეს რისკები, როგორც წესი, ექვემდებარება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებას მანამ, სანამ არ იარსებებს საკრედიტო რისკის მდგრადი გაუმჯობესების მტკიცებულება. 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაბრუნება აღიარდება მხოლოდ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის აღდგენის შემთხვევაში.

ჩამოწერა

სესხებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ბანკს არ აქვს ფინანსური აქტივის (მთლიანად ან ნაწილობრივ) ამოღების გონივრული მოლოდინი. ამ დროს ბანკი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას დაქვემდებარებული გადაუხდელი თანხების გადასახდელად. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს აღსრულების ღონისძიებები ჩამოწერილ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით. ბანკის აღსრულების აქტივობებიდან წარმოშობილი აღდგენები აღიარდება მოგება-ზარალში, როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღდგენა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა და ვალუტის კონვერტაცია**

ბანკი ახორციელებს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას სალაროებში და საბანკო ანგარიშების გამოყენებით, ასევე ვალუტის გადაცვლის ოპერაციებს. ეს ოპერაციები ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც გასხვავდება ოფიციალური სპოტ გაცვლითი კურსებისაგან კონკრეტულ თარიღებში. სხვაობები ოფიციალურ განაკვეთებსა და ბანკის განაკვეთებს შორის აღიარდება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ვაჭრობიდან მიღებული ზარალით შემცირებული შემოსულობის სახით დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ხდება კონკრეტული შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილება.

ფინანსური გარანტიები და სასესხო ვალდებულებები

ფინანსური გარანტიები არის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც ბანკს ავალდებულებს გარკვეული შენატანების განხორციელებას, რომ გარანტიის მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო. სასესხო ვალდებულებები ადრე მითითებული პირობების ფარგლებში ბანკის კრედიტის შეთავაზების უცვლელი ვალდებულებებია.

გაცემული ფინანსური გარანტია ან სესხის ბაზარზე არსებულზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით გაცემის ვალდებულებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ამის შემდეგ ისინი ფასდება ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად განსაზღვრულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და დაგროვილი ფასს (IFRS) 15-ის პრინციპების შესაბამისად აღიარებული დაგროვილი შემოსავლით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

სხვა სასესხო ვალდებულებებისთვის ბანკი ზარალის რეზერვს აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად. ბანკს არ აქვს სასესხო ვალდებულებები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც საკუთარი კაპიტალი, სახელშეკრულებო შეთანხმების არსის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც აკლდება საოპერაციო დანახარჯები და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი დაფარვისას, ან მისი ვადების არსებითი ცვლილებისას. ცვლილება არსებითად მიიჩნევა მაშინ, როდესაც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება თავდაპირველი ვალდებულებისგან. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი ვალდებულების აღიარება წყდება და ახალი ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობით ან ზარალით, რომელიც მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ მოდიფიცირება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას, ვალდებულების საბალანსო ღირებულება გადაანგარიშდება მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე დისკონტირების გზით და შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება.

იჯარების აღრიცხვა ბანკის, როგორც მოიჯარის მიერ

ბანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას იჯარის ვადის დაწყების თარიღში. საიჯარო ვალდებულებები ფასდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირებული საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ან, როდესაც განაკვეთის განსაზღვრა ადვილი არ არის, ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთით.

აქტივების გამოყენების უფლება მოგება-ზარალში აღიარდება და თვითღირებულებით ფასდება. მათ ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხებათ საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****იჯარების აღრიცხვა ბანკის, როგორც მოიჯარის მიერ (გაგრძელება)**

ბანკი იყენებს აღიარებისგან გათავისუფლებას მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის, და შესაბამის გადახდებს აღიარებს ხარჯად წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადაზე.

იჯარის ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტსა და ვითარებას, რომლებიც წარმოქმნიან ხელშეკრულების გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობით სარგებლობის ეკონომიკურ ინიციატივას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ბანკი ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორც არის წარმოებული ინსტრუმენტები, სამართლიანი ღირებულებით აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების 26-ე შენიშვნაშია განხილული.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მთლიანობაში:

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ბანკი განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ბანკმა აქტივებისა და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის მიხედვით. ბანკი იყენებს შემდეგ იერარქიას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და გამჟღავნებისთვის:

- 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები მოიცავს კოტირებულ ფასებს (გაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის, რომლებზეც ბანკს წვდომა შეუძლია შეფასების თარიღში.
- მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები, 1-ელ დონეში პირდაპირ ან არაპირდაპირ შესული კოტირებული ფასების გარდა; და
- მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივების ან ვალდებულებების არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

პრივილეგირებული აქციები

ბანკის პრივილეგირებული აქციები არაგამოსყიდვადია. დივიდენდის გადახდები ბანკის შეხედულებისამებრ ხდება. პრივილეგირებულ აქციებზე ყოველწიურად გადაიხდება ნომინალური ღირებულების 8%-ის ოდენობით დივიდენდი, რაც საჭიროებს დამტკიცებას წლიური აქციონერთა კრების მიერ. პრივილეგირებული აქციები საკუთარი კაპიტალის ნაწილად კლასიფიცირდება.

დასაკუთრებული აქტივები

სესხის დეფოლტირების გარკვეულ შემთხვევაში ბანკი ახდენს აქტივების დასაკუთრებას გირაოს იძულებითი აღსრულების გზით. დასაკუთრებისას აქტივი თავდაპირველად აღიარდება დეფოლტირებული სესხის საბალანსო ღირებულების საფუძველზე, უზრუნველყოფის იძულებითი აღსრულების პროცესში გაწეულ დანახარჯებთან ერთად, ხოლო შესაბამისი სესხის ნაშთი აღიარება შეწყდება. დასაკუთრებული აქტივები შემდგომ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების ან გასვლის ჯგუფებისთვის, ბანკი იყენებს სააღრიცხვო პოლიტიკას უზრუნველყოფის დასაკუთრების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის დაკმაყოფილებული იქნება ამგვარი კლასიფიკაციის შესაბამისი პირობები. დასაკუთრებული აქტივების გასვლით წარმოშობილი შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის სხვა შემოსავლის მუხლში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ძირითადი საშუალებები**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შენობა-ნაგებობები გადაფასებული ღირებულებით ფასდება, რომელიც გადაფასების თარიღში ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს. გადაფასებები ხორციელდება შესაბამისი სიხშირით იმისათვის, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს ფასისგან, რომელიც განისაზღვრებოდა საბალანსო ღირებულებების გამოყენებით, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ამგვარი ქონების გადაფასებიდან წარმოშობილი ნებისმიერი აფასება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარ კაპიტალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ხდება ჩამოფასების აღდგენა ადრე მოგება-ზარალში აღიარებული აქტივისთვის, რა შემთხვევაშიც ზრდა აისახება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შესაბამისი შემცირება ადრე ხარჯად იყო აღიარებული. ამგვარი ქონების გადაფასების შედეგად საბალანსო ღირებულების შემცირება აღიარებულია მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რამდენადაც იგი აღემატება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებულ ქონების გადაფასების რეზერვში არსებულ ნაშთს.

სხვა ქონება, გარდა შენობა-ნაგებობებისა ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთითა და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით ფასდება. ცვეთა აღიარდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
შენობა-ნაგებობები	50-100
კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	3-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	3-10
ავეჯი და მოწყობილობები	6-10
სხვა	6

საიჯარო გაუმჯობესებები კაპიტალიზდება და მათ ცვეთა ერიცხება იჯარის ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აღიარდება წრფივი მეთოდით, 2-დან 15 წლამდე სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე. სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება. ბანკს არ აქვს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადების მქონე არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივი აღიარდება გასვლისას, ან მაშინ, როდესაც გამოყენებიდან ან გასვლიდან მოსალოდნელი არ არის მომავალი ეკონომიკური სარგებელი. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აქტივების აღიარების შეწყვეტისას აღიარებულია მოგება-ზარალში.

დაბეგრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მოცემული მომენტისთვის გადასახდელი გადასახადის და გადავადებული გადასახადის თანხას.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი ეფუძნება წლის დასაბეგრ მოგებას. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან შემოსავლის ან ხარჯის მუხლების გამო, რომლებიც იბეგრება ან იქვითება სხვა წელს, ასევე ისეთი მუხლების გამო, რომლებიც არასოდეს ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება დაანგარიშდება ძალაში შესული ან მომავალში ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**5. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****დაბეგრა (გაგრძელება)****გადავადებული გადასახადი**

გადავადებული გადასახადი აღიარდება დროებით სხვაობებზე ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის, რომლებიც დასაბეგრი მოგების დასაანგარიშებლად გამოიყენება. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობისთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ხელმისაწვდომი იქნება დასაბეგრი ქონება, რომელთან მიმართებითაც შესაძლებელია დასაბეგრი დროებითი სხვაობების გამოყენება. ამგვარი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარებიდან წარმოიშობა დროებითი სხვაობა გარიგებაში, რომელიც არ მოქმედებს არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო ქონებაზე.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადი

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ისინი უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღიარებულ მუხლებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც ასევე ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება ბანკის სამუშაო ვალუტაში, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი ანგარიშსწორების ოპერაციებიდან და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების გადაანგარიშებიდან აღიარდება მოგება-ზარალში, როგორც ზარალით შემცირებული უცხოურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები. კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით გადაანგარიშდება სამუშაო ვალუტით, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი აღიარდება შემოსულობის ან ზარალის სამართლიანი ღირებულების ნაწილის სახით.

წლის ბოლოსთვის ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსები იყო:

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6951	2.8068
ლარი/1 ევრო	3.1737	2.9306

6. კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წყაროები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, განხილულია ქვემოთ. ბანკმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ბანკის კონტროლს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**6. კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წყაროები (გაგრძელება)****ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის**

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებზე:

- **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი** ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისთვის ბანკის წინაშე არსებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულადი ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულებით ფასდება, რომლის მიღებასაც მოელის ბანკი, სხვადასხვა საპროგნოზო ეკონომიკური სცენარების გამოყენებით და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებით. დავალიანების ზღვარი ინდივიდუალური შეფასებისთვის პირველადი კაპიტალის 0,5%-ს შეადგენს დეფოლტირებული მსესხებლების ჯგუფისთვის და პირველადი კაპიტალის 1%-ს მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკის მქონე მსესხებლებისთვის;
- **საპროგნოზო სცენარების განსაზღვრა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ბანკი იყენებს გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მომავალ ცვლილებასთან დაკავშირებულ დაშვებებს და ამ მაჩვენებლების ზემოქმედებას.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 28-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზის ჩათვლით.

- **განსჯა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ:** როგორც მე-4 შენიშვნაში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება, 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობით 1-ლი სტადიის აქტივებისთვის ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით - მე-2 ან მე-3 სტადიის აქტივებისთვის. აქტივი საკრედიტო რისკის მეორე სტადიაში გადადის, როდესაც მისი საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფასს (IFRS) 9 არ განსაზღვრავს რა წარმოადგენს მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში. იმის შეფასებისას, აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, ბანკი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ, გონივრულ და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას;
- **დეფოლტის ალბათობის შეფასება:** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან ამოსავალ ინფორმაციას. დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება, რომლის დაანგარიშება მოიცავს განვლილ მონაცემებს, დაშვებებს და საპროგნოზო ინფორმაციას..

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 28-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან დაკავშირებით.

- **დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების შეფასება** LGD არის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც სესხის გამცემი მოელის, უზრუნველყოფის საგნიდან და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები	11,473	12,217
ნაშთი სებ-ში	12,247	1,115
საკორესპონდენტო ანგარიშები და ვადიანი ანაზღაურებები 90 დღემდე თავდაპირველი დაფარვის ვადით	31,639	25,248
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1)	(1)
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	55,358	38,579

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არის ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასდა კონტრაქტის რეიტინგის საფუძველზე, რომლებსაც განსაზღვრავენ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნაღდი ფული განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც „Fitch Ratings“ სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ BB- (გრძელვადიანი) რეიტინგი.

8. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ) წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხებს. რეზიდენტ საფინანსო დაწესებულებებს მოეთხოვებათ სებ-ში პროცენტთან სავალდებულო რეზერვის ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საფინანსო დაწესებულების მიერ მოზიდული სახსრების დონეზე. სავალდებულო ნაშთები სებ-ში პროცენტთან ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს.

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	14,809	63,066
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი / გაუფასურების ზარალი	-	(1)
სულ სავალდებულო რეზერვები სებ-ში	14,809	63,065

სებ-თან სავალდებულო ნაშთები მოიცავს არა ვადაგადაცილებულ ფინანსურ აქტივებს 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასდა კონტრაქტის რეიტინგის საფუძველზე, რომლებსაც განსაზღვრავენ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები.

„Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით, საქართველოს რეიტინგია BB, ხოლო პროგნოზი ნეგატიურიდან სტაბილურით შეიცვალა.

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს:

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,002,166	773,528
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(17,173)	(17,393)
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	984,993	756,135

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება სექტორების მიხედვით:

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები		
ვაჭრობა და მომსახურება	392,479	284,160
მშენებლობა	98,788	56,485
სამთო-მომპოვებელი სამუშაოები და წარმოება	36,823	38,658
სოფლის მეურნეობა	21,708	19,857
ლიზინგი	31,677	27,746
ენერჯეტიკა	4,175	2,490
სხვა სექტორი	6,785	3,346
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	592,435	432,742
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
სამომხმარებლო სესხები	253,671	212,412
იპოთეკური სესხები	156,060	128,374
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	409,731	340,786
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი	1,002,166	773,528
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(17,173)	(17,393)
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	984,993	756,135

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორი უმსხვილესი მსესხებელთა ჯგუფი, რომლებმაც ინდივიდუალურად გადააჭარბეს ბანკის პირველადი კაპიტალის 10%-ს, 91,143 ლარი ან მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხების 9% შეადგინა (2024 წლის 31 დეკემბერს: 85,153 ლარი ან მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხების 11%).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის საგნის ტიპების მიხედვით:

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
კომბინირებულად უზრუნველყოფილი სესხები*	611,638	457,958
უძრავი ქონების გირაოთი უზრუნველყოფილი სესხები	299,858	246,735
გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხები	67,077	44,875
ნაღდი ფულით უზრუნველყოფილი სესხები	8,839	7,986
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	14,754	15,974
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი	1,002,166	773,528
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(17,173)	(17,393)
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	984,993	756,135

* ეს სესხები უზრუნველყოფილია სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფის საგნის (უძრავი ქონება, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მარაგები, აღჭურვილობა, მზა პროდუქტები და გარანტიები) კომბინირების გზით.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების დიდი ნაწილი (მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხების 99%) გაცემულია საქართველოში ფუნქციონირებად კომპანიებზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მომხმარებლებზე გაცემული სესხების ანალიზი კრედიტის ხარისხის მიხედვით, რომელიც განასხვავებს 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავ ინდივიდუალურად და ერთობლივად შეფასებულ სესხებს:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიან სესხებზე
ერთობლივად შეფასებული				
ვადაგადაუცილებელი	826,900	(4,618)	822,282	0.56%
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	33,886	(1,181)	32,705	3.49%
31-60 დღე	3,569	(510)	3,059	14.29%
61-90 დღე	1,112	(172)	940	15.47%
91-180 დღე	1,907	(489)	1,418	25.64%
180-ზე მეტი	9,968	(3,592)	6,376	36.04%
სულ კოლექტიურად შეფასებული სესხები	877,342	(10,562)	866,780	1.20%
ინდივიდუალურად შეფასებული				
ვადაგადაუცილებელი	72,855	(1,564)	71,291	2.15%
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	8,451	(54)	8,397	0.64%
31-60 დღე	5,993	-	5,993	0.00%
61-90 დღე	3,826	-	3,826	0.00%
91-180 დღე	10,340	(1,388)	8,952	13.42%
180-ზე მეტი	23,359	(3,605)	19,754	15.43%
სულ ინდივიდუალურად შეფასებული სესხები	124,824	(6,611)	118,213	5.30%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,002,166	(17,173)	984,993	1.71%

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიან სესხებზე
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ერთობლივად შეფასებული				
ვადაგადაუცილებელი	620,583	(4,406)	616,177	0.71%
ვადაგადაცილება:	-	-	-	-
30 დღემდე	21,264	(649)	20,615	3.05%
31-60 დღე	3,884	(470)	3,414	12.10%
61-90 დღე	2,457	(402)	2,055	16.36%
91-180 დღე	2,155	(341)	1,814	15.82%
180-ზე მეტი	10,590	(3,287)	7,303	31.04%
სულ კოლექტიურად შეფასებული სესხები	660,933	(9,555)	651,378	1.45%
ინდივიდუალურად შეფასებული				
ვადაგადაუცილებელი	51,814	(3,464)	48,350	6.69%
ვადაგადაცილება:	-	-	-	0.00%
30 დღემდე	26,905	(851)	26,054	3.16%
31-60 დღე	329	-	329	0.00%
61-90 დღე	9,590	(94)	9,496	0.98%
91-180 დღე	5,752	(174)	5,578	3.03%
180-ზე მეტი	18,205	(3,255)	14,950	17.88%
სულ ინდივიდუალურად შეფასებული სესხები	112,595	(7,838)	104,757	6.96%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	773,528	(17,393)	756,135	2.25%

ბანკის მიერ დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნის თანხა 2025 წლისა და 2024 წლის განმავლობაში შესაბამისად შეადგენდა 2,728 ათასი ლარი და 1,554 ათასი ლარი. 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაკუთრებული აქტივების საბალანსო ღირებულებამ 14,470 ათასი ლარი და 12,957 ათასი ლარი შეადგინა, შესაბამისად (მე-12 შენიშვნა).

მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეჯერება სტადიების მიხედვით 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	2025 წლის 31 დეკემბერი			2024 წლის 31 დეკემბერი		
	მთლიანი სესხები	რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის	წმინდა სესხები	მთლიანი სესხები	რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის	წმინდა სესხები
<i>(ათას ლარში)</i>						
სტადია 1 – 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	864,878	(2,812)	862,066	641,608	(3,119)	638,489
სტადია 2 – არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული:						
<i>ინდივიდუალურად შეფასებული</i>	42,186	(85)	42,101	39,232	(1,223)	38,009
<i>ერთობლივად შეფასებული</i>	12,901	(1,198)	11,703	10,090	(986)	9,104
	55,087	(1,283)	53,804	49,322	(2,209)	47,113
სტადია 3 – არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული:						
<i>ინდივიდუალურად შეფასებული</i>	59,265	(6,526)	52,739	58,698	(6,616)	52,082
<i>ერთობლივად შეფასებული</i>	22,936	(6,552)	16,384	23,900	(5,449)	18,451
	82,201	(13,078)	69,123	82,598	(12,065)	70,533
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,002,166	(17,173)	984,993	773,528	(17,393)	756,135

1-ლი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ოთხ ინდივიდუალურად შეფასებულ ჯგუფებს მთლიანი წმინდა თანხით 23,374 ათასი ლარი და 14,664 ათასი ლარი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. ინვესტიცია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებში

ინვესტიცია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებში მოიცავს:

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი		2024 წლის 31 დეკემბერი	
	ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
სახაზინო ობლიგაციები	9.38%	5,931	9.37%-10.5%	12,141
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი		(6)		(7)
სულ ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში		5,925		12,134

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში არა ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივებია 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასდა კონტრაქტის რეიტინგის საფუძველზე, რომლებსაც განსაზღვრავენ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები.

მთლიანი სავალო ინსტრუმენტების წინ გადატანა მოცემულია ქვემოთ:

	2025 წლის 1 იანვარი	გადახდილი აქტივები	წლის განმავლობაში მიღებული პროცენტი	2025 წლის 31 დეკემბერი
სახაზინო ობლიგაციები	12,141	(5,963)	(247)	5,931
	2024 წლის 1 იანვარი	გადახდილი აქტივები	წლის განმავლობაში მიღებული პროცენტი	2024 წლის 31 დეკემბერი
სახაზინო ობლიგაციები	17,353	(5,000)	(212)	12,141

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება

ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება მოიცავს:

(ათას ლარში)	შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული და საკომუნიკაციო ადჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებები	აქტივების გამოყენების უფლება *	სულ
თვითღირებულება / გადაფასებული ღირებულება								
2024 წლის 1 იანვარი	10,626	7,383	542	1,403	1,274	627	3,488	25,343
შემოსვლები	-	387	-	60	126	97	1,484	2,154
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(221)	(1,482)	(1,703)
გადაფასება გაუქმება	276	-	-	-	-	-	-	276
გადაფასების შედეგად	(338)	-	-	-	-	-	-	(338)
2024 წლის 31 დეკემბერი	10,564	7,770	542	1,463	1,400	503	3,490	25,732
შემოსვლები	845	801	-	590	154	248	2,646	5,284
გასვლები	-	-	-	(35)	(2)	-	(1,201)	(1,238)
2025 წლის 31 დეკემბერი	11,409	8,571	542	2,018	1,552	751	4,935	29,778
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
2024 წლის 1 იანვარი	189	3,792	303	1,101	1,120	550	2,011	9,066
წლის დანარიცხი გაუქმება	163	829	51	86	68	75	896	2,168
გადაფასების შედეგად	(338)	-	-	-	-	-	-	(338)
გაუქმება გასვლის შედეგად	-	-	-	-	-	(221)	(1,482)	(1,703)
2024 წლის 31 დეკემბერი	14	4,621	354	1,187	1,188	404	1,425	9,193
წლის დანარიცხი გასვლები	172	911	51	92	64	27	1,179	2,496
გასვლები	-	-	-	(34)	(2)	-	(1,100)	(1,136)
2025 წლის 31 დეკემბერი	186	5,532	405	1,245	1,250	431	1,504	10,553
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,550	3,149	188	276	212	99	2,065	16,539
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,223	3,039	137	773	302	320	3,431	19,225

* აქტივების გამოყენების უფლება მოიცავს ერთ კატეგორიას - შენობა-ნაგებობები.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა დაგირავებული ძირითადი საშუალებები.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად საშუალებები მოიცავს სრულად ამორტიზირებულ აქტივებს 7,691 ათასი ლარის და 4,268 ათასი ლარის ოდენობით მთლიანი ღირებულებით, შესაბამისად.

შენობა-ნაგებობებთან მიმართებით ბანკი გადაფასების მოდელს იყენებს. გადაფასებები ხორციელდება სულ მცირე ორ წელიწადში ერთხელ. ხელმძღვანელობის შეფასებით, 2025 წლის განმავლობაში საბაზრო ფასებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება (გაგრძელება)

შენობა-ნაგებობები გადაფასდა საბაზრო ფასებთან მიმართებით 2024 წლის 1 დეკემბერს.

2024 წელს შეფასება აღიარებული და რელევანტური პროფესიული კვალიფიკაციების მქონე შემფასებელთა დამოუკიდებელმა ფირმამ განახორციელა, რომელსაც აქვს მსგავსი ადგილმდებარეობისა და ხასიათის მქონე აქტივების შეფასების მიმდინარე გამოცდილება. შემფასებლებმა საბაზრო მიდგომა გამოიყენეს სამი შესადარის ინფორმაცია ოპერაციის (რეგისტრირებული გაყიდვები და/ამ გაყიდვის შეთავაზებები) საფუძველზე. კორექტირებები განხორციელდა შესადარის ფასებში, რითაც აისახა განსხვავებები სამიზნე აქტივებსა და შერჩეულ შესადარის ობიექტებს შორის.

საბაზრო მიდგომა გავრცელდა ყველა აქტივზე შეფასების თარიღის მდგომარეობით შესაბამისი, მათ შორის ბოლო დროის ოპერაციებისა და აქტიური ლისტინგების შესახებ ემპირიული საბაზრო მონაცემების ხელმისაწვდომობის გამო.

ქვემოთ მოცემულია ბანკის შენობა-ნაგებობებისა და სამართლიანი ღირებულების იერარქიის შესახებ ინფორმაცია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შეფასების მეთოდი	არაემპირიული ამოსავალი მონაცემები	სამართლიანი ღირებულების იერარქია	სამართლიანი ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები შემდეგ რეგიონებში:			
- თბილისი - შარტავას ქუჩა			6,297
- თბილისი - კოსტავას ქუჩა	გაყიდვების	კვადრატული	3,227
- ბათუმი - გორგასლის ქუჩა	შედარების	მეტრის	1,354
- თბილისი - გამსახურდიას ქუჩა	მეთოდი	ღირებულება	მე-3 დონე 531
სულ			11,409

ბანკს შენობა-ნაგებობები პირვანდელი ღირებულებით რომ შეეფასებინა, მათი საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იქნებოდა 7,888 ათასი ლარი და 8,057 ათასი ლარი.

12. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს შემდეგს:

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური აქტივები		
ანგარიშსწორება უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებზე	4,136	4,464
მოთხოვნები	629	733
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(185)	(275)
მოთხოვნები, წმინდა	4,580	4,922
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (მე-18 შენიშვნა)	-	1,168
სულ ფინანსური აქტივები	4,580	6,090
სხვა არაფინანსური აქტივები		
დასაკუთრებული აქტივები	14,470	12,957
ავანსად გაწეული ხარჯები	1,369	1,616
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	51	72
გადასახადების დაფარვა, მოგების გადასახადის გარდა	62	115
სხვა	255	282
სულ არაფინანსური აქტივები	16,207	15,042
სულ სხვა აქტივები	20,787	21,132

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სხვა აქტივები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებზე ანგარიშსწორება წარმოადგენს მოთხოვნებს სპოტ სავალუტო გარიგებებიდან რეზიდენტ კომერციულ ბანკებში, რომლებიც მთლიანად იფარება საანგარიშგებო თარიღიდან 2 სამუშაო დღეში.

ბანკი ფლობს დასაკუთრებულ ქონებას, რომელიც გადაუხდელი სესხების დაფარვის სახით ბანკის მფლობელობაში გადასული მიწისგან და სხვა უძრავი ქონებისგან შედგება. ბანკი გეგმავს ამ აქტივების გაყიდვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ბანკი ინვესტირების მიზნებისთვის არ ითვალისწინებს დასაკუთრებულ აქტივებს.

2025 წლის განმავლობაში ბანკი დაესაკუთრა 2,729 ათასი ლარის ღირებულების ქონებას (2024 წ.: 1,554 ათასი ლარი) მომხმარებლებზე გაცემული სესხების არაფულადი დაფარვის ფარგლებში. იგივე პერიოდში ბანკმა გაყიდა დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნები საბალანსო ღირებულებით 1,871 ათასი ლარი (2024 წ.: 2,640 ათასი ლარი) და აღიარა წმინდა შემოსულობა გასვლიდან 26 ათასი ლარის (2024 წ.: 601 ათასი ლარი) ოდენობით, რომელიც სხვა შემოსავალშია ასახული.

ბანკი რეგულარულად ქირობს გარე შემფასებლებს დასაკუთრებული ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასების და ჩამოწერის საჭიროების გამოვლენის მიზნით. საანგარიშგებო თარიღში ხელმისაწვდომი შეფასების შედეგებისა და ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, დასაკუთრებულ ქონებასთან დაკავშირებით დამატებითი ანარიცხის დარიცხვა არ აღიარებულა, 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ხელმძღვანელობის შეფასება სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავდა აქტივების მიმდინარე მდგომარეობას და ლიკვიდობას, პროგრესს გასვლის საქმიანობებში და გაყიდვებით მოსალოდნელ აღდგენაში.

13. ვალდებულებები მშობელი საწარმოს წინაშე

ვალდებულებები მშობელი საწარმოს წინაშე მოიცავს:

ვალუტა	დაფარვის წელი	ნომინალური / საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი, 2025	2025 წლის 31 დეკემბერი	ნომინალური / საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი, 2024	2024 წლის 31 დეკემბერი	
		სესხები მშობელი საწარმოსგან	ევრო/აშშ დოლარი	2026–2030	4.41%	494,925
მშობელი საწარმოს ანაბრები		-	-	5.53%	14,153	
სულ ვალდებულებები მშობელი საწარმოს მიმართ			494,925		381,294	

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არცერთი სესხი არ არის ფინანსური ან არაფინანსური კოვენანტების მოთხოვნებს დაქვემდებარებული.

მშობელი საწარმოს მიმართ ვალდებულებების ყველა ნაშთი უზრუნველყოფის გარეშეა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. ვალდებულებები მშობელი საწარმოს წინაშე (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია სესხებისა და მშობელი საწარმოს ანაბრებიდან წარმოშობილი ცვლილებების შეჯერება 2025 წლისა და 2024 წლის განმავლობაში:

(ათას ლარში)	2025 წლის 1 იანვარი	ძირითადი თანხის მიღება	ძირითადი თანხის დაფარვა	პროცენტის დარიცხვა წლის განმავლობაში	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი წლის განმავლობაში	2025 წლის 31 დეკემბერი
სესხები მშობელი საწარმოსგან	367,141	921,132	(782,208)	21,781	(35,343)	2,422	494,925
მშობელი საწარმოს ანაბრები	14,153	129,941	(143,417)	1,256	(1,351)	(582)	-

(ათას ლარში)	2024 წლის 1 იანვარი	ძირითადი თანხის მიღება	ძირითადი თანხის დაფარვა	პროცენტის დარიცხვა წლის განმავლობაში	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი წლის განმავლობაში	2024 წლის 31 დეკემბერი
სესხები მშობელი საწარმოსგან	420,889	248,119	(311,742)	18,184	(13,172)	4,863	367,141
მშობელი საწარმოს ანაბრები	-	56,549	(42,515)	2,199	(1,731)	(349)	14,153

14. მომხმარებელთა ანაბრები

მომხმარებელთა ანაბრები მოიცავს:

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ვადიანი ანაბრები	211,630	161,096
მოთხოვნამდე ანაბრები	84,633	73,737
სულ მომხმარებელთა ანაბრები	296,263	234,833

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომხმარებელთა ანაბრები 162,273 ათასი ლარისა და 105,364 ათასი ლარის ოდენობით (მომხმარებელთა მთლიანი ანაბრების 54.77% და 44.87%), შესაბამისად, 10 მომხმარებელზე მოდის, რომელიც მნიშვნელოვან კონცენტრაციას წარმოადგენს.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომხმარებელთა ანაბრები 351 ათასი ლარისა და 4,562 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემულ გარანტიებზე.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომხმარებელთა ანაბრები 28,180 ათასი ლარისა და 13,697 ათასი ლარის მთლიანი ოდენობით, შესაბამისად, დაგირავებული იყო მომხმარებლებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფის სახით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. მომხმარებელთა ანაზრები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მომხმარებელთა ანაზრების ანალიზი ინდუსტრიების მიხედვით:

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ვაჭრობა და მომსახურება	158,035	97,360
ფიზიკური პირები	99,863	89,906
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები	10,605	26,660
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	6,785	6,515
მშენებლობა	16,796	5,851
ენერჯეტიკა	1,277	4
სხვა	2,902	8,537
სულ მომხმარებელთა ანაზრები	296,263	234,833

15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების წინ გადატანა:

	2025 წლის 1 იანვარი	ძირითადი თანხის დაფარვა	პროცენტის დარიცხვა წლის განმავლობაში	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი წლის განმავლობაში	2025 წლის 31 დეკემბერი
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	5,050	(4,923)	102	(99)	(130)	-

	2024 წლის 1 იანვარი	ძირითადი თანხის დაფარვა	პროცენტის დარიცხვა წლის განმავლობაში	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა წლის განმავლობაში	2024 წლის 31 დეკემბერი
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	5,062	(278)	249	(206)	223	5,050

2022 წლის 25 მაისს, ასტანის საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე კოტირებული იყო სამწლიანი ობლიგაციები ყოველდღიური ვაჭრობისთვის. ობლიგაციებზე ირიცხებოდა 4%-იანი კუპონური განაკვეთი და ისინი ფასდაკლებით გაიცა.

პირველი ტრანშიდან 92 ობლიგაცია გაიყიდა (ნომინალური ღირებულება 9,200,000 აშშ დოლარი).

განხორციელდა ვადამდე გამოსყიდვა 2023 წლის ნოემბერში (73 ობლიგაცია), 2024 წლის მაისში (1 ობლიგაცია) და 2025 წლის მაისში (დარჩენილი 18 ობლიგაცია). შედეგად 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი სავალო ფასიანი ქაღალდები არ არსებობდა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. საიჯარო ვალდებულება

ბანკი იჯარით იღებს რამდენიმე ფართს ფილიალების ფუნქციონირებისთვის. იჯარის საშუალო ვადაა 5-10 წელი.

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ოპერაციებიდან წარმოშობილი ცვლილებების შეჯერება:

საიჯარო ვალდებულებები	1 იანვარი	შემოსვლები წლის განმავლობაში	პროცენტის დარიცხვა წლის განმავლობაში	იჯარის დაფარვა წლის განმავლობაში	საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/ზარალი წლის განმავლობაში	31 დეკემბერი
31 დეკემბერი	2,184	2,552	201	(1,248)	(3)	3,686
2024	1,473	1,484	112	(1,022)	137	2,184

ქვემოთ მოცემულია მოგება-ზარალში აღიარებული საიჯარო ოპერაციებთან დაკავშირებული თანხები:

	შენიშვნა	2025	2024
მოგება-ზარალში აღიარებული თანხები			
ცვეთის ხარჯი აქტივების გამოყენების უფლებაზე	11	1,179	896
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე		201	112
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივებთან დაკავშირებული ხარჯი		169	111

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ნაჩვენებია 28-ე შენიშვნაში.

17. სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული ვალი მოიცავს:

ვალუტა	დაფარვის თარიღი წელი	ნომინალური / საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	
სს „ხალივ ბანკი ყაზახეთი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“)	აშშ დოლარი	2033	4.42%	27,021	28,142
მთლიანი სუბორდინირებული ვალი			27,021	28,142	

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდობის შემთხვევაში ამ ვალის დაფარვა სუბორდინირებულია ყველა სხვა კრედიტორის მიმართ ბანკის ვალდებულებების დაფარვაზე.

2012 წლის 25 ივლისს ბანკმა მშობელი საწარმოსგან მიიღო აშშ დოლარში გამოხატული სუბორდინირებული სესხი 7%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით. სესხის დაფარვის თარიღი იყო 2018 წლის 25 ივლისი. მას შემდეგ სესხის ვადა რამდენჯერმე გახანგრძლივდა კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთი შეესაბამება მსგავსი ინსტრუმენტების ბაზრის განაკვეთს, შესაბამისად სესხი სამართლიანი ღირებულებით აღიარდა, ბაზრის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2025 წლის განმავლობაში შეიცვალა სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი და დაფარვის თარიღი. ბანკმა ეს შესწორება შეაფასა ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად და დაასკვნა, რომ მოდიფიცირების ეფექტი არაარსებითი იყო.

სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებაში ასახული არ არის საკუთარი კაპიტალის გარდაქმნის ოფცია 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. სუბორდინირებული ვალი (გაგრძელება)

ცვლილება სუბორდინირებულ ვალში 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასეთი იყო:

	1 იანვარი	პროცენტის დარიცხვა წლის განმავლობაში	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა / (ზარალი) წლის განმავლობაში	2025 წლის 31 დეკემბერი
2025	28,142	1,240	(1,240)	(1,121)	27,021
2024	26,965	1,245	(1,241)	1,173	28,142

18. ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შედგება:

(ათას ლარში)	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
ანგარიშსწორება უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებზე	4,140	4,447
დასაქმებულთა გასამრჯელოების ვალდებულება	3,493	3,173
ვალდებულებები	4,500	1,423
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	12,133	9,043
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	78
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,133	9,121
სხვა არაფინანსური ვალდებულებები:		
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა	9	1
სულ სხვა ვალდებულებები	12,142	9,122

ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში წარმოადგენს უცხოურ ვალუტაში სვოპის ხელშეკრულებებს. სვოპები არის სახელშეკრულებო ხელშეკრულებები ორ მხარეს შორის დროთა განმავლობაში გადახდის ნაკადების გადაცვლისთვის, კონკრეტული პირობითი თანხების საფუძველზე.

უცხოური ვალუტის სვოპებისთვის ბანკი იხდის კონკრეტულ თანხას ერთ ვალუტაში და იღებს სპეციფიკურ თანხას სხვა ვალუტაში. სავალუტო სვოპების ანგარიშსწორება მთლიანი ოდენობით ხდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია არადისკონტირებული სახელშეკრულებო თანხები 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბერს დაუფარავი სვოპებისთვის, რაც ფასდება ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. ქვემოთ მოცემული უცხოურ ვალუტაში თანხები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღში მოქმედი განაკვეთებით. შედეგად მიღებული არარეალიზებული შემოსულობები და ზარალი ამ მოქმედ ხელშეკრულებებზე აღიარებულია მოგება-ზარალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებში, ვითარებიდან გამომდინარე.

	პირობითი თანხა	
	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	-	2,807
	-	2,807

	პირობითი თანხა	
	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ევროს გაყიდვა ლარის ყიდვა		
თვეზე ნაკლები	-	14,653
3 თვეზე ნაკლები	-	11,722
3-6 თვე	-	14,653
	-	41,028

19. სააქციო კაპიტალი

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ნებადართული და გამოშვებული სააქციო კაპიტალი მოიცავდა შემდეგს:

- 76,000 სრულად გადახდილი ჩვეულებრივი აქციები თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1,000 ლარი.
 ჩვეულებრივი აქციებს აქვთ აქციონერთა საერთო კრებაზე სრული ხმის უფლება, კომპანიის მიერ გამოცხადებულ დივიდენდებში მონაწილეობის უფლება და ლიკვიდაციის შემთხვევაში ნარჩენი აქტივების განაწილებაში წილის უფლება ფლობილი აქციების ნომინალური ღირებულების პროპორციულად.
 ჩვეულებრივი აქციებზე არ ვრცელდება შეზღუდვები დივიდენდების განაწილებასთან ან კაპიტალის დაფარვასთან მიმართებით. დივიდენდების გამოცხადება ხდება აქციონერთა კრების შეხვედრებისამებრ, მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების საფუძველზე. ჩვეულებრივი აქციებზე დივიდენდების გადახდა არ განხორციელებულა. განვლილი წლების მოგება შენარჩუნებულია და გადატანილია გაუნაწილებელ მოგებაში.
- 37,500 სრულად გადახდილი პრივილეგირებული აქციები თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1,600 ლარი.
 პრივილეგირებულ აქციებზე ხმის უფლებები არ ვრცელდება. ეს აქციები მათ მფლობელებს ანიჭებს ფიქსირებული ყოველწლიური დივიდენდების მიღების უფლებას წინასწარ განსაზღვრული განაკვეთით, ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე ნებისმიერი დივიდენდის განაწილებამდე. დივიდენდების გაცემა საჭიროებს დამტკიცებას აქციონერთა წლიური კრების მიერ.
 პრივილეგირებულ აქციებზე არ ვრცელდება დამატებითი შეზღუდვები დივიდენდების განაწილებასთან ან კაპიტალის დაფარვასთან მიმართებით. ლიკვიდაციის შემთხვევაში პრივილეგირებულ აქციონერებს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან მიმართებით ენიჭებათ კაპიტალის დაფარვის უპირატესი უფლება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2025 წლის მაისში ბანკმა დივიდენდები გაანაწილა პრივილეგირებულ აქციებზე. დივიდენდის მთლიანმა თანხამ 2025 წლისთვის 4,460 ათასი ლარი (2024 წ.: 1,000 ათასი ლარი) შეადგინა. ერთ აქციაზე დივიდენდმა 128 ლარი შეადგინა 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2024 წ.: 128 ლარი).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის გაწევამდე

გაუფასურების ზარალის გაწევამდე წმინდა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა:

(ათას ლარში)	2025	2024 რეკლასიფიცირებული
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით		
განგარიშებული საპროცენტო ამონაგები:		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	88,968	70,631
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	599	1,236
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,505	3,593
სავალდებულო ფულადი ნაშთი სებ-თან	613	273
სულ საპროცენტო შემოსავალი	91,685	75,734
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით		
განგარიშებული საპროცენტო ხარჯი:		
მომხმარებელთა ანაზრები	(15,310)	(11,629)
ვალდებულებები მშობელი საწარმოს მიმართ	(23,037)	(20,005)
ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ	(292)	(378)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(102)	(249)
სუბორდინირებული ვალი	(1,240)	(1,245)
	(39,981)	(33,506)
სხვა საპროცენტო ხარჯი:		
საიჯარო ვალდებულება	(201)	(112)
სულ საპროცენტო ხარჯი	(40,182)	(33,618)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	51,503	42,116

21. გაუფასურების ზარალი პროცენტთან და უპროცენტო აქტივებზე / სხვა ოპერაციების ანარიცხი

ქვემოთ მოცემულია ცვლილებები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში პროცენტთან აქტივებზე:

(ათას ლარში)	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	სავალდებულო ფულადი ნაშთები სებ-თან	მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ	მომხმარებლებზე გაცემული სესხები	ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	სულ
2024 წლის						
1 იანვარი	1	1	24	19,479	16	19,521
გაუფასურების ზარალი / (გაუფასურების ზარალის აღდგენა)	-	-	(24)	(2,751)	(9)	(2,784)
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	-	665	-	665
2024 წლის 31 დეკემბერი	1	1	-	17,393	7	17,402
გაუფასურების ზარალი / (გაუფასურების ზარალის აღდგენა)	-	(1)	-	(583)	(1)	(585)
ჩამოწერა	-	-	-	(42)	-	(42)
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	-	405	-	405
2025 წლის 31 დეკემბერი	1	-	-	17,173	6	17,180

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21. გაუფასურების ზარალი პროცენტიან და უპროცენტო აქტივებზე / სხვა ოპერაციების ანარიცხი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ცვლილებები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში უპროცენტო აქტივებზე:

2024 წლის 1 იანვარი	288
საკრედიტო ზარალის რეზერვი	36
ჩამოწერა	(48)
2024 წლის 31 დეკემბერი	276
საკრედიტო ზარალის რეზერვი	7
ჩამოწერა	(98)
2025 წლის 31 დეკემბერი	185

22. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

საკომისიო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

<i>(ათას ლარში)</i>	2025	2024 რეკლასიფიცირებული
საკომისიო შემოსავალი:		
ოპერაციები პლასტიკური ბარათით	1,238	1,433
შემოსავალი გარანტიებიდან	904	591
ანგარიშსწორება	626	550
საკასო ოპერაციები	286	243
სხვა	129	93
სულ საკომისიო შემოსავალი	3,183	2,911
საკომისიო ხარჯი:		
ოპერაციები პლასტიკური ბარათით	(2,160)	(2,135)
ანგარიშსწორება	(493)	(406)
საკასო ოპერაციები	(120)	(24)
სხვა საფასურის ხარჯი	(53)	(43)
სულ საკომისიო ხარჯი	(2,826)	(2,608)
წმინდა საკომისიო ხარჯი	357	304

სხვა საკომისიო შემოსავალი მოიცავს საზღაურს და საკომისიოს, რომლებიც წარმოიშობა სახელშეკრულებო ფინანსური პირობების ცვლილებიდან, მათ შორის უზრუნველყოფის პირობების ცვლილებიდან, რომლებიც არ წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშების შემადგენელ ნაწილს.

23. წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

<i>(ათას ლარში)</i>	2025	2024
გარიგება, წმინდა	2,473	3,024
საკურსო სხვაობა, წმინდა	725	140
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებზე	3,198	3,164

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

24. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

<i>(ათას ლარში)</i>	2025	2024
პერსონალის ხარჯები	17,539	15,626
ცვეთა და ამორტიზაცია	3,194	2,869
ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებები	1,744	1,459
სარეკლამო ხარჯები	995	1,247
პროფესიული მომსახურება	626	541
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	419	399
კომუნიკაციები	343	304
წარმომადგენლობითი ხარჯები	238	168
კომუნალური მომსახურებები	225	245
სადაზღვევო ხარჯი	214	190
საბარათო ოპერაციებისა და ანგარიშსწორების ხარჯები	188	193
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები	169	111
ქონებისა და აღჭურვილობის ტექნომომსახურება	168	183
საოფისე ინვენტარი	156	176
სამივლინებო ხარჯი	92	59
დაცვის ხარჯები	84	82
სხვა ხარჯები	2,039	1,585
სულ საოპერაციო ხარჯები	28,433	25,437

2025 წელს აუდიტორის ანაზღაურებამ ბანკის ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტისთვის 242 ათასი ლარი შეადგინა (2024 წ.: 264 ათასი ლარი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 2025 და 2024 წლებში:

<i>(ათას ლარში)</i>	2025	2024
ზედა რგოლის ხელმძღვანელობა	8	8
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	36	35
სხვა მუდმივი თანამშრომლები	277	279
დროებითი პერსონალი	-	-
სულ	321	322

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

25. მოგებიდან გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა:

(ათას ლარში)	გადავადებული საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/ (ვალდებულებები) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/ (ვალდებულებები) 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული გადასახადის შემოსავალი	მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული გადასახადის ხარჯი
სხვა აქტივები	172	463	635	(525)	110	
ანარიცხები სხვა ოპერაციებზე	578	(433)	146	553	699	
საიჯარო ვალდებულებები	295	(32)	262	475	737	
სხვა ვალდებულებები	255	182	437	(143)	294	
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(1,630)	(186)	(1,816)	(358)	(2,174)	
სულ	(330)	(6)	(336)	2	(334)	

მოგების გადასახადის ხარჯი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოიცავდა:

(ათას ლარში)	2025	2024
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	(5,292)	(4,720)
გადავადებული საგადასახადო შემოსავალი	2	49
სხვა ცვლილება	(2)	30
მოგების გადასახადის ხარჯი	(5,292)	(4,641)

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ეფექტური გადასახადის განაკვეთის შეჯერება ასე გამოიყურება:

	2025	2024
მოგება დაბეგრამდე	27,520	25,142
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	20%	20%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	5,504	5,028
გადასახადით დაუბეგრავი შემოსავალი	(256)	(413)
გამოუქვითავი ხარჯები	42	56
სხვა ცვლილება	2	(30)
მოგების გადასახადის ხარჯი	5,292	4,641

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

26. პირობითი ვალდებულებები

ჩვეული საქმიანობის პირობებში თავისი მომხმარებლების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ბანკი აფორმებს ფინანსურ ხელშეკრულებებს გარე საბალანსო რისკებით. ეს ინსტრუმენტები ბანკს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკის წინაშე აყენებს და აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გარდა დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვისა.

გარე საბალანსო ვალდებულებებისთვის ბანკი იგივე კრედიტის კონტროლისა და რისკების მართვის პოლიტიკებს იყენებს, რომლებიც საბალანსო ოპერაციებზე გამოიყენება.

პირობით ვალდებულებებზე ზარალის ანარიცხები 80 ათას ლარს და 154 ათას ლარს შეადგენს 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობითი ვალდებულებები მოიცავს:

<i>(ათას ლარში)</i>	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
პირობითი ვალდებულებები და საკრედიტო ვალდებულებები		
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	47,786	46,667
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულებები	23,758	24,624
სულ პირობითი ვალდებულებები და საკრედიტო ვალდებულებები	71,544	71,291

მომხმარებლებზე გაცემული სესხების ვადის გაზრდა საკრედიტო ხაზის ლიმიტებში დამტკიცდა ბანკის მიერ კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე და ის დამოკიდებულია მსესხებლების ფინანსურ მაჩვენებლებზე, ვალის მომსახურებისა და სხვა პირობებზე. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზომა აუთვისებელ სასესხო ვალდებულებებზე, ვალდებულებების სახელშეკრულებო თანხას წარმოადგენს.

საინვესტიციო ვალდებულებები

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებით საინვესტიციო ვალდებულებებს ადგილი არ ჰქონია.

სამართალწარმოებები

დროდადრო ჩვეული მუშაობის პირობებში მომხმარებლებსა და კონტრაქტებს შეჰქონდათ სარჩელები. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ეს სარჩელები მნიშვნელოვან ზარალს გამოიწვევს და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ აღიარებულა.

დაბეგვრა

საქართველოს კომერციულ კანონმდებლობას, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობას შესაძლოა ერთზე მეტი ინტერპრეტაცია ჰქონდეს. შედეგად, საგადასახადო უწყებებმა შესაძლოა ეჭვს ქვეშ დააყენონ ბანკის მიერ მიღებული ტრანზაქციები ან ინტერპრეტაციები, რამაც შესაძლოა დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის დარიცხვა გამოიწვიოს.

ქართული სატრანსფერო ფასწარმოების რეგულაციები ვრცელდება ბანკის კონკრეტულ ოპერაციებზე, მათ შორის მშობელ საწარმოსთან ოპერაციებზე, როგორც არის სესხები და ანაზრები. ბანკი ამგვარი ოპერაციების საგადასახადო შედეგებს მუდმივ საფუძველზე აფასებს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ბანკს სათანადო წესით აქვს აღიარებული ყველა საგადასახადო ვალდებულება.

ბოლო საგადასახადო ინსპექტირება 2018 წლის აგვისტოში ჩატარდა, შესაბამისად საგადასახადო ინსპექტირების ღია პერიოდია 2023-2025 წლები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლისთვისაც გამჟღავნებულია სამართლიანი ღირებულება

მოკლევადიანი (3 თვეზე ნაკლები) დაფარვის ვადის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული. ეს დაშვება ასევე ვრცელდება მოთხოვნამდე ანაბრებზე და მიმდინარე ანგარიშებზე დაფარვის ვადის გარეშე და ცვლადგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება საანგარიშგებო თარიღში მსგავსი დაფარვის ვადის, ვალუტისა და საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია შესაბამის საბალანსო ღირებულებასთან ერთად 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათას ლარში)	სამართლიანი ღირებულების იერარქია	2025 წლის 31 დეკემბერი		2024 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულების	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებები გაცხადებულია					
მომხმარებლებზე გაცემული					
სესხები	მე-3 დონე	984,993	982,101	756,135	763,467
ინვესტიციები სავალო ფასიან ქალაქებში	მე-2 დონე	5,925	5,910	12,134	12,279
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ	მე-2 დონე	866	866	865	865
ვალდებულებები, რომლისთვისაც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულება					
ვალდებულებები მშობელი					
საწარმოს მიმართ	მე-2 დონე	494,925	486,494	381,294	379,289
ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ	მე-3 დონე	3	3	4	4
მომხმარებელთა ანაბრები	მე-3 დონე	296,263	292,143	234,833	239,187
გამოშვებული სავალო ფასიანი ქალაქები	მე-2 დონე	-	-	5,050	5,054
სუბორდინირებული ვალი	მე-3 დონე	27,021	27,018	28,142	28,140

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

განმეორებად საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განისაზღვრება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.

	სამართლიანი ღირებულება		სამართლიანი ღირებულების იერარქია	შეფასების მეთოდ(ებ)ი და მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემ(ებ)ი
	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი		
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	-	1,168	მე-2 დონე	მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება სვოპ გაცვლითი კურსის (ემპირიული ფორვარდული გაცვლითი კურსიდან საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში) და სახელშეკრულებო ფორვარდული განაკვეთების საფუძველზე.
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	78	მე-2 დონე	მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება ფორვარდული გაცვლითი კურსის (ემპირიული ფორვარდული გაცვლითი კურსიდან საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში) და სახელშეკრულებო ფორვარდული განაკვეთების საფუძველზე.

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში ასევე სამართლიანი ღირებულებით ფასდება განმეორებად საფუძველზე და მე-3 დონეს განეკუთვნება.

28. რისკის მართვის პოლიტიკა

ეფექტური რისკის მართვას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ბანკის ბიზნესისთვის და მისი ოპერაციების არსებით ელემენტს წარმოადგენს. ბანკის ოპერაციებიდან წარმოშობილი მთავარი რისკებია:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

ბანკმა დანერგა სრულყოფილი რისკების მართვის ჩარჩო, რომლის მიზანია ამ რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი, რითაც მოხდება ბანკის ფინანსური სტაბილურობის დაცვა და შესრულების მაჩვენებლების გაუმჯობესების მხარდაჭერა. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში ბანკის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი მიიღებს ზარალს, როცა მისი მომხმარებლები ან კონტრაქტები ვერ შეასრულებენ ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება დაგეგმილი უფლებამოსილების ფარგლებში. ამ პროცესებს ბანკის დირექტორთა საბჭო ახორციელებს. რისკების მართვის განყოფილებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საკრედიტო რისკის მართვასა და კონტროლში. ისინი პასუხს აძლევენ საკრედიტო რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე, ასევე კონტროლისა და მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებაზე. რისკების მართვის განყოფილებები პირდაპირ მონაწილეობენ კრედიტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და შიდა წესების, რეგულაციებისა და სასესხო პროგრამების განხილვაში. ამასთან ისინი დამოუკიდებელ რეკომენდაციებს გასცემენ საკრედიტო რისკის მინიმიზების ღონისძიებების, საკრედიტო რისკების კონტროლისა და მონიტორინგის, ხელმძღვანელობის წინაშე შესაბამისი ანგარიშგებისა და საკრედიტო პროცესების გარე კანონებთან/რეგულაციებთან, ასევე შიდა მოთხოვნებსა და პროცესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში. ბანკი საკრედიტო რისკის დონეს განსაზღვრავს ერთ მსესხებელთან/კონტრაქტთან, ან მსესხებლების ჯგუფთან და სექტორის სეგმენტებთან მიმართებით მიღებული რისკის ლიმიტების დაწესების გზით. საკრედიტო რისკის კონცენტრაციის დონის ლიმიტები სექტორების მიხედვით მტკიცდება და კონტროლდება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის (ALMC) მიერ. საკრედიტო პროგრამებთან დაკავშირებულ (მცირე და საშუალო საწარმოები და საცალო სექტორი) საკრედიტო რისკის ლიმიტებს ამტკიცებს დირექტორთა საბჭო. ნებისმიერ ერთ მსესხებელთან დაკავშირებული რისკის ზომა ფარავს საბალანსო და გარე საბალანსო რისკებს, რომლებსაც საკრედიტო კომიტეტი და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი განიხილავენ. ლიმიტებთან დაკავშირებული ფაქტობრივი რისკის ზომის მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

შესაბამის შემთხვევაში და გაცემული გარანტიების დროს ბანკი იღებს უზრუნველყოფას და კორპორაციულ და პერსონალურ გარანტიებს.

თანხის გაცემის ვალდებულებას წარმოადგენს გარანტიები ან აკრედიტივები.. გარე საბალანსო ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი განისაზღვრება, როგორც კონტრაქტის მიერ სახელშეკრულებო პირობების ვერ დაკმაყოფილებით გამოწვეული ზარალის ალბათობა. კრედიტის გაცემის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკთან მიმართებით ბანკი პოტენციურად დგას ზარალს მთლიანი აუთვისებელი ვალდებულებების ტოლი ოდენობის ანაზღაურების წინაშე. თუმცა, ზარალის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია მთლიან აუთვისებელ ვალდებულებებზე, ვინაიდან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია იმაზე, რომ მომხმარებლები აკმაყოფილებდნენ კონკრეტულ საკრედიტო სტანდარტებს. ბანკი აკონტროლებს გარე საბალანსო პირობითი ვალდებულებების ვადებს, რადგან უფრო ხანგრძლივი ვალდებულებები უფრო მაღალ საკრედიტო რისკს გულისხმობს ვიდრე მოკლევადიანი ვალდებულებები.

‘დეფოლტის’, ‘გაუფასურებულის’ და ‘გაუმჯობესების’ განმარტება

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს ფინანსური აქტივების შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებული ფინანსური აქტივები მე-3 სტადიის აქტივების კატეგორიას განეკუთვნება. გაუფასურების მტკიცებულება მოიცავს ემპირიულ მონაცემებს შემდეგი შემთხვევების შესახებ:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- მსესხებლის ფინანსური სირთულეებით გამოწვეული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, კრედიტორმა მსესხებელს შესთავაზა შეღავათი, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ მოიაზრებდა;
- ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შექმნა დიდი ფასდაკლებით, რომელიც ასახავს გაწეულ საკრედიტო ზარალს.

შესაძლებელი არ უნდა იყოს ერთი კონკრეტული მოვლენის იდენტიფიცირება - ფინანსური აქტივების გაუფასურება შესაძლოა გამოწვევას რამდენიმე მოვლენის ერთობლიობას. ყოველ საანგარიშგებო თარიღში ბანკი აფასებს გაუფასურებულია თუ არა სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახულ ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)****‘დეფოლტის’, ‘გაუფასურებულის’ და ‘გაუმჯობესების’ განმარტება (გაგრძელება)**

სესხები, რომლებზეც მინიჭებულია შეღავათი მსესხებლის მიმდინარე და მოსალოდნელი ფინანსური სირთულეების გამო მიიჩნევა, რომ აქვთ გაუფასურების ნიშანი და კლასიფიცირდება მე-3 სტადიად მოდიფიცირების თარიღში. ამგვარი სესხები კლასიფიცირებულია გაუფასურებულად მანამდე, სანამ არ წარმოიშობა საკრედიტო რისკის სტაბილური გაუმჯობესების შესაბამისი მტკიცებულება. ფინანსური აქტივებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იყო, მაგრამ არ გაიცა შეღავათი, ფინანსური აქტივი ფასდება გაუფასურებაზე ემპირიული მტკიცებულების საფუძველზე, მათ შორის იმაზე, ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა ბანკის დეფოლტის განმარტებას.

ბანკი მიიჩნევს, რომ შემდეგი წარმოადგენს დეფოლტის შემთხვევაში:

- მსესხებელს აქვს 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- სავარაუდოა, რომ მსესხებელი სრულად ვერ დაფარავს საკრედიტო ვალდებულებებს ბანკის წინაშე, მისი ვალეები ჩამოიწერება ან გაიყიდება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ან მსესხებელი მიჩნეული იქნება „პრობლემურად“ ან იქნება გაკოტრებასთან დაკავშირებული სასამართლო დავების საგანი;
- აქტიური საკრედიტო რეიტინგია 8, 9 ან 10;
- კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) 1-ზე ნაკლებია, ხოლო საცალო სემენტისთვის გადახდის შემოსავალთან თანაფარდობა (PTI) 70%-ს აღემატება, თუ მსესხებლის ყოველთვიური შემოსავალი უდრის ან აღემატება 1,500 ლარს ან გადახდის შემოსავალთან თანაფარდობა (PTI) 55%-ზე მეტია, თუ მსესხებლის ყოველთვიური შემოსავალი არის 1,500 ლარზე ნაკლები;
- სხვადასხვა საკრედიტო კომიტეტების გადაწყვეტილებების საფუძველზე საკრედიტო ვალდებულებების რესტრუქტურისა შესაძლოა დეფოლტის შემთხვევად იქნას მიჩნეული ან რიგ შემთხვევაში, როგორც მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკის ნიშანი, საკრედიტო ვალდებულების საკრედიტო ხარისხიდან გამომდინარე.

იმის შეფასებისას, არის თუ არა სავარაუდო, რომ მსესხებელი ვერ დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებას, ბანკი ითვალისწინებს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინდიკატორებს. დეფოლტის შესაფასებლად ბანკი იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ადგილობრივად შემუშავდება ან მიიღება გარე წყაროებისგან.

გაუმჯობესება

ბანკის პოლიტიკით ფინანსური ინსტრუმენტი ‘გაუმჯობესებულად’ მიიჩნევა და შესაბამისად გადაკლასიფიცირდება მე-3 სტადიიდან, როდესაც სულ მცირე 6 თანმიმდევრული თვის განმავლობაში დეფოლტის არცერთი კრიტერიუმი არ დაფიქსირდება ან ფინანსური ანალიზი დაადასტურებს საკრედიტო რისკის შემცირებას, რასაც თან ახლავს ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა 3 თანმიმდევრული თვის განმავლობაში. იგივე პირობები ვრცელდება მე-2 სტადიიდან 1-ელში გადაკლასიფიცირება, როდესაც ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშნებს.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი მონიტორინგს უწევს ფინანსურ აქტივებს, რომლებიც გაუფასურების შესწავლის საგანს წარმოადგენს, რაც გულისხმობს იმის შეფასებას, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდას საწყისი აღიარების შემდეგ. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში ბანკი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას ახდენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (გაგრძელება)**

იმის შეფასებისას, ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ, ბანკი ითვალისწინებს დამხმარე რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას. მსესხებლის საკრედიტო რეიტინგის მნიშვნელოვანი გაუარესება, რაც გამოიწვევს დეფოლტის ალბათობის 10-ზე მეტი p.p.-ით ზრდას აქტიური შიდა რეიტინგით 6- ან უარესი, შესაძლოა მიჩნეულ იქნას საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ხარისხობრივ ნიშნად და გამოყენებულ იქნეს სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურად შესაფასებელი კლიენტების იდენტიფიკაციისას, თუ მსესხებლების დავალიანება აღემატება მატერიალურ ზღვარს (პირველადი კაპიტალის 1% კლიენტებისა და დაკავშირებული კლიენტების ჯგუფისთვის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდით და პირველადი კაპიტალის 0,5% დეფოლტირებული კლიენტების ან დაკავშირებული კლიენტების ჯგუფისთვის).

აგრეთვე, როდესაც აქტივს 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს ან რესტრუქტურირებულია ფინანსური პრობლემების გამო, ბანკი მას მიიჩნევს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ავტომატურ ნიშნად, ამიტომ შესაბამისი აქტივი მე-2 სტადიაში გადადის.

ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, მომხმარებლებზე გაცემული სესხების გარდა

აუთვისებელი სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კრედიტის კონვერსიის ფაქტორის გამოყენებით 24.8%-ის ოდენობით აუთვისებელი სასესხო ვალდებულებებისთვის და 100%-ის ოდენობით ფინანსური გარანტიებისთვის 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (30.1% და 100%, შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).

მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ, ბანკთაშორისი დეპოზიტები და საკორესპოდენტო ანგარიშები, ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში გაუფასურებას ექვემდებარებიან 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასება ეფუძნება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას საკრედიტო რეიტინგის შესახებ.

სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთებით კლიენტის სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება აღსრულების დანახარჯები.

საკრედიტო რისკის კლასიფიკაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის

ბანკი კლიენტის დავალიანებას ანაწილებს შიდა საკრედიტო რისკის საფეხურების მიხედვით სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე, რომლებიც განისაზღვრება, როგორც პროგნოზირებადი დეფოლტის რისკი და იყენებს საკრედიტო განსჯას. საკრედიტო რისკის საფეხურები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც დეფოლტის რისკის ინდიკატორებს წარმოადგენს. ეს ფაქტორები განსხვავდება რისკის ხასიათის და მსესხებლის ტიპის მიხედვით.

თითოეული რისკის დონე გადანაწილდება საკრედიტო რისკის საფეხურზე საწყისი აღიარებისას, მსესხებლის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. რისკის დონეები მიმდინარე მონიტორინგის საგანს წარმოადგენს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მათი საკრედიტო რისკის სხვადასხვა საფეხურზე გადაადგილება.

კორპორაციული მსესხებლებისთვის ბანკი იყენებს ავტომატიზებულ ინსტრუმენტს „რისკის მაჩვენებელი“, რომელიც მოიცავს შიდა სარეიტინგო მოდელების ორ შესაძლო მეთოდს: ფუნდამენტური ანალიზი და ქულების ცხრილი. ორივე მეთოდი ეყრდნობა კოეფიციენტებისა და ფინანსური მატრიცების დახვეწილ ანალიზს.

ძირითადი სხვაობა ამ ორ მეთოდს შორის არის ის, თუ როგორ ახდენს სისტემა მოდელის ამოსავალი მონაცემების დაანგარიშებას და ქულების განსაზღვრას. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეთოდოლოგია განსხვავებულია, ისინი ორივე ერთსა და იმავე ტექნოლოგიურ პლატფორმაზე დაფუძნებული. ამასთან, შიდა რეიტინგის ყველა მოდელი, იმის მიუხედავად რომელი მეთოდი გამოიყენება, მსესხებლის რეიტინგს აწარმოებს. შიდა რეიტინგის მოდელის რისკის განაკვეთი ახდენს შიდა რეიტინგის მოდელების შექმნისა და პერსონალიზაციის მხარდაჭერას, ორივე მეთოდის გამოყენებით.

მცირე და საშუალო საწარმოების მსესხებლების შესაფასებლად ბანკი მეორე შიდა შეფასების სისტემას იყენებს. შეფასების ცხრილი ეფუძნება მსესხებლების ფინანსური მონაცემების სტატისტიკურ ინფორმაციას, ასევე ხარისხობრივ მახასიათებლებს.

სესხის გაცემისას ხდება რისკის ქულის მინიჭება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც მოგვიანებით საფეხურებში აისახება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის კლასიფიკაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის (გაგრძელება)

სესხის გაცემისას რეიტინგები ფასდება ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

რეიტინგები	აღწერა
1	
2+	
2	
3+	მაღალი ხარისხის სესხი, დაბალი რისკი. სესხი აკმაყოფილებს ყველაზე მაღალ მოთხოვნებს. კლიენტს აქვს სესხის დაფარვის ძალიან ძლიერი შესაძლებლობა. საქმიანობა პრაქტიკულად არ ექვემდებარება გავლენის მქონე გარე ნეგატიურ ფაქტორებს.
3	რეიტინგების გადანაწილება კატეგორიის შიგნით დამოკიდებულია სხვადასხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზე, როგორც არის ფინანსური პირობები, მართვის ხარისხი, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, გარე ფაქტორების გავლენა და სხვ.
3+	
3	
3-	
4+	სესხის დამაკმაყოფილებელი ხარისხი, დაბალი რისკი. სესხი აკმაყოფილებს მოთხოვნების უმრავლესობას. არსებობს გადახდის ძლიერი შესაძლებლობა. სუსტი დამოკიდებულება გარე ეკონომიკურ ფაქტორებზე.
4	რეიტინგების გადანაწილება კატეგორიის შიგნით დამოკიდებულია სხვადასხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზე, როგორც არის ფინანსური პირობები, მართვის ხარისხი, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, გარე ფაქტორების გავლენა და სხვ.
4-	
5+	
5	შედარებით მცირე სისუსტე მოკლე ვადაში, მაგრამ უფრო მაღალი მგრძობელობა საქმიანობის, ფინანსურ ან ეკონომიკურ სფეროებში ნეგატიური ცვლილებების მიმართ.
5-	რეიტინგების გადანაწილება კატეგორიის შიგნით დამოკიდებულია სხვადასხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზე, როგორც არის ფინანსური პირობები, მართვის ხარისხი, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, გარე ფაქტორების გავლენა და სხვ.
6+	
6	მაღალი მგრძობელობა ნეგატიური ბიზნეს, ფინანსური და ეკონომიკური პირობების მიმართ, მაგრამ ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების შესაძლებლობით.
6-	რეიტინგების გადანაწილება კატეგორიის შიგნით დამოკიდებულია სხვადასხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზე, როგორც არის ფინანსური პირობები, მართვის ხარისხი, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, გარე ფაქტორების გავლენა და სხვ.
7+	
7	დეფოლტის მაღალი რისკი (მოცემულ მომენტში მაღალი საკრედიტო რისკი); ფინანსური ვალდებულებები შესაძლოა დაკმაყოფილდეს ხელსაყრელ ბიზნეს, ფინანსურ და ეკონომიკურ პირობებში.
7-	რეიტინგების გადანაწილება კატეგორიის შიგნით დამოკიდებულია სხვადასხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზე, როგორც არის ფინანსური პირობები, მართვის ხარისხი, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, გარე ფაქტორების გავლენა და სხვ.
8	
9	დეფოლტის ძალიან მაღალი რისკი. მომხმარებლის გადახდისუნარიანობა არის დაბალი.
9-	მომხმარებლის საქმიანობა სრულად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე.
10	რეიტინგების გადანაწილება კატეგორიის შიგნით დამოკიდებულია სხვადასხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზე, როგორც არის ფინანსური პირობები, მართვის ხარისხი, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, გარე ფაქტორების გავლენა და სხვ.

* ურეიტინგო სესხები: 100,000 აშშ დოლარზე ნაკლები თანხა, ნაღდი ფულით უზრუნველყოფილი სესხები, საცალო სესხები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკის კლასიფიკაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის (გაგრძელება)**

ცვლილებები საფეხურებში დამოკიდებულია რამდენიმე რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორზე, მაგალითად ფინანსურ პირობებზე, ფინანსური ინფორმაციის ხარისხზე, ბაზარზე კონკურენტულ პოზიციაზე, მომწოდებლების/მყიდველების გავლენაზე, მფლობელის გავლენაზე, მართვის ხარისხზე, ნეგატიური მოვლენების რისკზე, და სხვ.

მომხმარებლებზე გაცემული ინდივიდუალურად შეფასებული სესხები

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საფუძველზე აფასებს საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლების მქონე საკრედიტო პორტფელებისთვის.

პოზიცია ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, როდესაც მთლიანი რისკის ზომა მსესხებლის ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფის მიმართ ბანკის პირველადი კაპიტალის 1%-ს გადააჭარბებს. ამგვარი რისკები ინდივიდუალურად ფასდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ან კრედიტის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში.

დეფოლტირებული მსესხებლების ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფებისთვის, ინდივიდუალური შეფასების ზღვარი პირველადი კაპიტალის 0,5%-მდე მცირდება.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დავალიანება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად ზრდის ნიშნების გარეშე ჩვეულებრივ კოლექტიურ საფუძველზე ფასდება, სანამ განსაკუთრებული ვითარებები არ მოითხოვს ინდივიდუალურ შეფასებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისთვის ბანკის წინაშე არსებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულადი ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულებით ფასდება, რომლის მიღებასაც მოელის ბანკი, სხვადასხვა საპროგნოზო ეკონომიკური სცენარების გამოყენებით და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებით.

ინდივიდუალურად შეფასებული 1-ლი და მე-2 სტადიების სესხებისთვის მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ფასდება ყველა შესაბამისი ინფორმაციის, მათ შორის მსესხებლის ფინანსური პირობების, ამონაგების წყაროების, ფინანსური შესრულების მაჩვენებლების, სექტორისა და ბაზრის მონაცემების და, შესაბამის შემთხვევაში, უზრუნველყოფის აღსრულებიდან ან გაყიდვიდან წმინდა ამონაგების საფუძველზე. მე-3 სტადიის სესხებისთვის, რომელშიც შემოდინება უპირატესად მოსალოდნელია უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ძირითადად წარმოიშობა უზრუნველყოფის საგნის მოსალოდნელი ღირებულებიდან. უზრუნველყოფის საგნის შეფასება მოიცავს ალბათობით შეწონილ საპროგნოზო ეკონომიკურ სცენარებს და ის დისკონტირებულია სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ბანკი უზრუნველყოფის საგნის სალიკვიდაციო ღირებულებას ჩვეულებრივ აფასებს დაახლოებით 2.5 წლის ამოღების პერიოდის დაშვების და უზრუნველყოფის ღირებულების 10%-ის ოდენობით მოსალოდნელი სარეალიზაციო ხარჯების გამოყენების გზით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დათვლისთვის სალიკვიდაციო ღირებულება ჩვეულებრივ განისაზღვრება უზრუნველყოფის შეფასებულ საბაზრო ღირებულებაზე არანაკლებ 20%-ით ნაკლები ოდენობით. ეს დაშვებები მომდინარეობს უზრუნველყოფის საგნის იძულებითი აღსრულებისა და რეალიზაციის ისტორიული სტატისტიკური მონაცემებიდან. თუმცა ისინი შესაძლოა დაკორექტირდეს ინდივიდუალურ საფუძველზე, როდესაც კონკრეტული ვითარებები იმაზე მიუთითებს, რომ სტანდარტული აღდგენის პერიოდი ან დისკონტის ფაქტორი შეუსაბამო იქნება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)****კოლექტიურად შეფასებული მომხმარებლებზე გაცემული სესხები***სეგმენტაცია*

კოლექტიურ შეფასებაში მონაწილე სესხები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. კოლექტიურად შეფასებული პორტფელი იყოფა

- სექტორების (ვაჭრობა, სამშენებლო და უძრავი ქონების მართვა, ასევე სხვა ბიზნეს სექტორები);
- პროდუქტების (უზრუნველყოფილი საცალო და არა უზრუნველყოფილი საცალო) და
- ვალუტის (ლარი და უცხოური ვალუტა) მიხედვით.

სამშენებლო და უძრავი ქონების მართვის, ასევე არა უზრუნველყოფილი საცალო სექტორის სეგმენტები შემდგომში ვალუტის მიხედვით არ იყოფა. მთლიანობაში პორტფელი რვა ერთგვაროვან სეგმენტად იყოფა.

ყველა სეგმენტი შემდგომში ხუთ ქვეჯგუფად დაიყოფა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების, მათ შორის ვადაგადაცილებული დღეების, რესტრუქტურისა და სტატუსისა და, სადაც მიესადაგება, შიდა საკრედიტო რეიტინგის, სესხის მომსახურების კოეფიციენტის (DSCR), გადახდის შემოსავალთან თანაფარდობა (PTI) და რისკის სხვა ინდიკატორების გათვალისწინებით.

შედეგად კოლექტიურად შეფასებული პორტფელი ერთგვაროვანი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე 40 ქვეჯგუფისგან შედგება.

დეფოლტის ალბათობის (PD) მოდელი

თითოეული სეგმენტისთვის კოლექტიური შეფასების მიზნით დეფოლტის ალბათობის განაკვეთების განსაზღვრად, ბანკი მიგრაციული მატრიცის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, რომელშიც გამოიყენება ისტორიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და დავალიანებებისა და დეფოლტების გამოცდილება, ისეთი სესხების მოცულობის შესაფასებლად, რომელთა გადეფოლტება მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღამდე წარმოშობილი შემთხვევების შედეგად. ერთგვაროვანი ჯგუფების დაკვირვების პერიოდია 3 წელი - 2022 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ნოემბრამდე. დაკვირვების პერიოდის განმავლობაში განხორციელდა თვის მატრიცების გენერირება თითოეული პერიოდისთვის და შემდგომში განისაზღვრა საშუალო მაჩვენებელი მთლიანი ციკლის მიგრაციის მატრიცის მეშვეობით.

საბოლოო მიგრაციული მატრიცები გამოიყენება თითოეულ ქვეჯგუფში 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის დასაანგარიშებლად. ამის საფუძველზე დაანგარიშდება ზღვრული დეფოლტის ალბათობები შემდგომი წლებისთვის, საკრედიტო პორტფელის დაფარვის ვადამდე. მოდელირების მიზნებისთვის დეფოლტი განისაზღვრება, როგორც მე-3 სტადიის სესხები, მათ შორის სესხები 90-დღიანი ვადაგადაცილებით, ან რომლებიც მე-3 სტადიაშია რესტრუქტურისგან ან აქვთ 'პრობლემური' სტატუსი. კონკრეტულ მომენტში დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად ბანკი აგრეთვე იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას სხვადასხვა მაკრო სცენარების საფუძველზე, რომელშიც ამგვარ ინფორმაციას საკმარისი განმარტებითი ძალა აქვს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10%-იანი ზრდა/(კლება) დეფოლტის ალბათობაში თითოეული ქვეჯგუფის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 2,0%-2,5%-ით, რაც შეადგენს 351/(442) ათას ლარს.

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების მოდელი

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD), რომელიც წარმოადგენს დეფოლტის შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის შეფასებას. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში განისაზღვრება თითოეულ სეგმენტში დავალიანების შემცირებით ჩადებული დეპოზიტებისა და უძრავი ქონების უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულების დისკონტირების მეშვეობით. სალიკვიდაციო ღირებულება ფასდება 2,5-წლიანი ამოღების დროით, უზრუნველყოფის საგნის სარეალიზაციო ხარჯების 10%-ისა და საბაზრო ღირებულების მინიმუმ 20%-იანი შემცირების გათვალისწინებით. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება სეგმენტის დონეზე და არა ინდივიდუალურ საფუძველზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10%-იანი ზრდა/(კლება) სარეალიზაციო დანახარჯების ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 0,8%/-1,1%-ით, რაც 144/(197) ათას ლარს შეადგენს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10%-იანი ზრდა/(კლება) ამოღების პერიოდის მიხედვით იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 2,3%/-2,6%-ით, რაც 389/(442) ათას ლარს შეადგენს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)***EAD მოდელი*

დეფოლტის დადგომისას ფინანსური ინსტრუმენტის მოცულობა წარმოადგენს მოსალოდნელი დავალიანების მოცულობას დეფოლტის შემთხვევაში. ბანკი დეფოლტის მომენტისთვის დავალიანების მოცულობას განსაზღვრავს მსესხებლების მიმდინარე დავალიანების საფუძველზე, რომელიც კორექტირდება გადევოლტებამდე მოცულობის მოსალოდნელი ცვლილებებით. 1-ლი და მე-2 სტადიის სესხებისთვის, დეფოლტის მომენტისთვის EAD მოიცავს სკალირების ფაქტორს, რომელიც ასახავს დავალიანების მოცულობის პოტენციურ ზრდას საკრედიტო რისკის შესაბამის დონეზე მიგრაციის შემთხვევაში. საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით გამოყენებულია კორექტირების ფაქტორები 1.007 რისკის პირველი დონისთვის და 1.011 - რისკის მეორე დონისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშება

თითოეული სეგმენტისთვის ზღვრული დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განსაზღვრის შემდეგ ხორციელდება სესხის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საბოლოო კალკულაცია. შედეგი მსესხებლების რისკის მახასიათებლებზე და მოკიდებულია: 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება 1-ლი სტადიის საკრედიტო რისკის მსესხებლებისთვის (31 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით) და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მე-2 და მე-3 სტადიის მსესხებლებისათვის. დაანგარიშების შედეგები წარმოქმნის გაუფასურების განაკვეთებს შეფასებული სესხის 40-დან თითოეული ქვეჯგუფისთვის. ეს განაკვეთები გამოიყენება სესხის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრაში, მოდელის შემდეგ განახლებამდე.

გაუფასურების მოდელის ბოლო განახლება განხორციელდა 2025 წლის დეკემბერში, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემების გამოყენებით.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს. ეს მოიცავს მაკროეკონომიკურ სცენარებს, სეზონის მიერ გამოქვეყნებული მომდევნო 3 წლის პროგნოზების საფუძველზე. სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზო, პესიმისტური, ოპტიმისტური) გამოიყენება უძრავი ქონების უზრუნველყოფის ფასების, მსესხებლების ფულადი ნაკადებისა და ზღვრული დეფოლტის ალბათობის კორექტირებისთვის გამოიყენება. საბაზო სცენარი წარმოადგენს ყველაზე სავარაუდო შედეგს და იწონება საშუალო 50%-ად, ხოლო პესიმისტურ და ოპტიმისტურ სცენარებს 25%-იანი წილი ენიჭება.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისთვის, საპროგნოზო ეკონომიკური სცენარები მოიცავს ორი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს, კერძოდ ლარისა და აშშ დოლარის გაცვლით კურსს და უძრავი ქონების ფასებს 2026-2028 წლებისთვის.

კოლექტიურად შეფასებული პორტფელისთვის ბანკმა გაითვალისწინა ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა, მათ შორის მშპ-ის რეალური ზრდის ტემპი, წლიური ინფლაციის განაკვეთი, სეზონის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განაკვეთი, ლარის/აშშ დოლარის გაცვლითი კურსი, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი (NEER), უძრავი ქონების ფასები, უმუშევრობის დონე, საქართველოს სუვერენული რისკის პრემიის გავლენა დეფოლტის ალბათობაზე, რეგრესიული ანალიზის გამოყენებით სეგმენტების დონეზე. თუმცა, განვლილი ათწლიანი მონაცემების სტატისტიკური ტესტირების საფუძველზე, არცერთმა ამგვარმა მაკრო ინდიკატორმა არ გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი თანაფარდობა ბანკის პორტფელის დეფოლტის ალბათობასთან. შესაბამისად, მაკროეკონომიკური სცენარების გავლენა არ არის გამოყენებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში კოლექტიურად შეფასებული სესხებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება (გაგრძელება)

ბანკმა ჩაატარა მგრძობელობის ანალიზი იმის შესაფასებლად, შეიცვლება თუ არა სასესხო პორტფელის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი თუ მისი კრიტიკული პარამეტრები შეიცვლება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება, რომელიც წარმოიშობა თითოეული მნიშვნელოვანი დაშვების 10%-იანი ცვლილებით, იზოლირებულად საილუსტრაციო მიზნით.

	ცვლილება	გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ათასი ლარი)
სავალუტო კურსი	10%	(35)
	-10%	69
უძრავი ქონების ფასები	10%	(2,183)
	-10%	3,872

მომხმარებლებზე გაცემული სესხები საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შიდა საკრედიტო რისკის საფეხურების მიხედვით:

მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ 2025
კორპორაციული სესხები				
5	2,023	-	-	2,023
5-	61,614	-	-	61,614
6+	149,863	-	-	149,863
6	46,390	3,826	-	50,216
6-	35,937	6,317	-	42,254
7-	-	-	2,661	2,661
7+	2,306	-	5,076	7,382
9	-	-	1,974	1,974
10	-	-	5,021	5,021
რეიტინგის გარეშე	5,409	-	-	5,409
სულ კორპორაციული სესხები	303,542	10,143	14,732	328,417
5	1,517	-	-	1,517
5-	12,994	-	-	12,994
6+	46,587	561	115	47,263
6	173,285	4,123	-	177,408
6-	98,909	13,173	127	112,209
7-	263	-	8,904	9,167
7+	-	10,398	655	11,053
7	-	6,572	3,031	9,603
8	-	-	11,314	11,314
9	-	-	380	380
10	-	-	19,063	19,063
რეიტინგის გარეშე	26,169	283	1,723	28,175
სულ მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	359,724	35,110	45,312	440,146
საცალო სესხები				-
რეიტინგის გარეშე	201,613	9,834	22,156	233,603
სულ საცალო სესხები	201,613	9,834	22,156	233,603
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	864,879	55,087	82,200	1,002,166

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხები საკრედიტო ხარისხი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შიდა საკრედიტო რისკის საფეხურების მიხედვით:

(ათას ლარში)	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ 2024
კორპორაციული სესხები				
5	4,734	–	–	4,734
5–	42,761	–	–	42,761
6+	89,130	–	–	89,130
6	18,896	13,530	3,292	35,718
6–	17,463	–	4,604	22,067
7+	–	6,480	4,340	10,820
7	–	3,554	–	3,554
8	–	–	1,950	1,950
10	–	–	6,092	6,092
რეიტინგის გარეშე	3	–	–	3
სულ კორპორაციული სესხები	172,987	23,564	20,278	216,829
5	3,513	–	–	3,513
5–	6,935	297	–	7,232
6+	37,188	325	–	37,513
6	144,469	786	3,455	148,710
6–	76,172	11,877	–	88,049
7+	4,010	1,094	9,130	14,234
7	–	1,960	–	1,960
7–	533	1,489	2,537	4,559
8	–	–	6,291	6,291
9	–	348	(1,016)	1,364
10	–	156	15,125	15,281
რეიტინგის გარეშე	32,021	969	1,962	34,952
სულ მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	304,841	19,301	39,516	363,658
საცალო სესხები				
რეიტინგის გარეშე	163,780	6,457	22,804	193,041
სულ საცალო სესხები	163,780	6,457	22,804	193,041
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	641,608	49,322	82,598	773,528

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული საცალო სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვადაგადაცილებული დღეების კატეგორიების მიხედვით:

(ათას ლარში)	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ 2025
ვადაგადაუცილებელი	197,424	5,214	5,566	208,204
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	4,189	2,597	2,663	9,449
31–60 დღე	–	1,140	681	1,821
61–90 დღე	–	882	129	1,011
91–180 დღე	–	–	1,502	1,502
180-ზე მეტი	–	–	11,615	11,615
სულ საცალო სესხები	201,613	9,833	22,156	233,602
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,234)	(527)	(4,697)	(6,458)
წმინდა საცალო სესხები	200,379	9,306	17,459	227,144

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხები საკრედიტო ხარისხი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული საცალო სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შიდა საკრედიტო რისკის საფეხურების მიხედვით:

(ათას ლარში)	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ 2024
ვადაგადაუცილებელი	158,846	3,543	5,473	167,862
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	4,934	1,003	1,055	6,992
31-60 დღე	-	1,751	1,533	3,284
61-90 დღე	-	160	1,209	1,369
91-180 დღე	-	-	3,592	3,592
180-ზე მეტი	-	-	9,942	9,942
სულ საცალო სესხები	163,780	6,457	22,804	193,041
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,234)	(527)	(4,697)	(6,458)
წმინდა საცალო სესხები	162,546	5,930	18,107	186,583

ბანკის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ზემოთ მითითებული კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების სესხები მოიცავს ინდივიდუალურ მეწარმეებზე და იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებს. ბანკი არ იყენებს შიდა საკრედიტო რისკებს საცალო სესხებზე, რომელიც მოიცავს ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს.

მომხმარებლებზე გაცემული რესტრუქტურული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები ზოგადად რესტრუქტურულია მიმდინარე მომხმარებლებთან ურთიერთობის ფარგლებში ან მსესხებელთან დაკავშირებული ვითარებების ნეგატიურ ცვლილებაზე რეაგირების გზით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რესტრუქტურულია გამომიწვიოს გადახდის თარიღის ან დაფარვის გეგმების გახანგრძლივებით, რის საფუძველზეც ბანკი ახდენს შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთის შეთავაზებად რეალური პრობლემის მქონე მსესხებლებისთვის.

2025 წლის განმავლობაში ფინანსური აქტივები მთლიანი საბალანსო ღირებულებით 22,641 ათასი ლარი (2024 წ.: 30,465 ათასი ლარი) მოდიფიცირდა, თუმცა არცერთ მათგანს არ შეუცვლია ზარალის რეზერვი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე შესაბამის პერიოდებში.

სტადიის ცვლილებები მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში

ცვლილებები მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

(ათას ლარში)	2025			სულ
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	641,608	49,323	82,598	773,528
ცვლილებები მთლიან საბალანსო ღირებულებაში:				
ახალი სესხები	518,942	-	-	518,942
- გადატანა მე-2-დან 1-ელ სტადიაზე	7,462	(7,462)	-	-
- გადატანა 1-დან მე-2 სტადიაზე	(23,534)	23,534	-	-
- გადატანა მე-2-დან მე-3 სტადიაზე	-	(6,828)	6,828	-
- გადატანა 3-დან მე-2 სტადიაზე	-	4,327	(4,327)	-
დაფარული სესხები	(280,646)	(8,586)	(3,391)	(292,623)
ჩამოწერა	-	-	(42)	(42)
ისეთი მოდიფიკაციით წარმოშობილი ცვლილებები, რომლებსაც არ გამოუწვევიათ აღიარების შეწყვეტა	222	228	129	579
საკურსო სხვაობა	824	551	406	1,782
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	864,878	55,087	82,201	1,002,166

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

28. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

სტადიის ცვლილებები მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში (გაგრძელება)

	2025			სულ
	1-ლი სტადია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	
<i>(ათას ლარში)</i>				
ზარალის რეზერვი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,119	2,208	12,066	17,393
ცვლილებები ზარალის რეზერვში:				
ახალი სესხები	6,039	–	–	6,039
– გადატანა მე-2-დან 1-ელ სტადიაზე	398	(398)	–	–
– გადატანა 1-დან მე-2 სტადიაზე	(234)	234	–	–
– გადატანა მე-2-დან მე-3 სტადიაზე	–	(224)	224	–
– გადატანა 3-დან მე-2 სტადიაზე	–	613	(613)	–
საკრედიტო რისკში ცვლილებით წარმოშობილი ზრდა	–	457	630	1,087
ისეთი მოდიფიკაციით წარმოშობილი ცვლილებები, რომლებსაც არ გამოუწვევიათ აღიარების შეწყვეტა დაფარული სესხები	–	(224)	(389)	(613)
ჩამოწერა	(831)	(1,105)	(2,308)	(4,244)
